

კახეთის რეგიონული განვითარების პროგრამა

სოფელ დართლოს ურბანული რეგენერაცია

შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP)

2012 წლის 25 მაისი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

## ვალუტის ეკვივალენტი

(2012 წლის 10 აპრილის მდგომარეობით)

სავალუტო ერთეული	–	ლარი
1.00 აშშ დოლარი	=	1.65 ლარს

სარჩევი

	განმარტებითი ბარათი	7
1	შესავალი	17
1.1	პროექტის საფუძველი	17
1.2	დართლოს ქვეპროექტი	18
1.3	მოსალოდნელი ზეგავლენა და განსახლების შესაბამისი მეთოდოლოგია	18
1.4	შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება	20
1.5	პროექტის განხორციელების პირობები	20
2	აღწერა და ზემოქმედების შეფასება	21
2.1	შესავალი	21
2.2	ზემოქმედების შეფასება	21
2.2.1	ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობა	21
2.2.2	ზემოქმედება ბიზნესებზე და შემოსავლების დაკარგვა	23
2.2.3	ზემოქმედება სახნავეზე, ნათესებზე, ნარგავებზე	24
2.2.4	ზემოქმედება შენობებზე	24
2.2.5	პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული მოწყვლადი ჯგუფები	24
2.2.6	ზეგავლენა საჯარო საკუთრების რესურსებზე	25
3	სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი	25
3.1	ზოგადი	25
3.2	სამართლებრივი სტრუქტურა	25
3.2.1	საქართველოს კანონი და ნორმები მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებით	25
3.2.2	მსოფლიო ბანკის პოლიტიკა იძულებით განსახლებასთან დაკავშირებით	26
3.2.3	განსახლების პოლიტიკის ვალდებულებები პროექტისათვის	29
3.2.4	კომპენსაციის მიღების კრიტერიუმები და უფლებამოსილება	30
4	ინსტიტუციონალური სტრუქტურა	36
4.1	შესავალი	36
4.1.1	სოფელი დართლო	36
4.1.2	მუნიციპალიტეტის სარეგისტრაციო სამსახური	36
4.2	სხვა ორგანიზაციები და სააგენტოები	36
4.2.1	სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი	36
4.2.2	საქართველოს სასამართლო	37
4.2.3	ფინანსთა სამინისტრო	37
4.2.4	იუსტიციის სამინისტრო	37
4.2.5	მსოფლიო ბანკი	37

5	კონსულტაციები და მონაწილეობა	37
5.1	შესავალი	37
5.2	SECHSA-ს კვლევის დროს ჩატარებული კონსულტაციების შედეგები	38
5.3	კონსულტაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან RAP-ის მომზადების პროცესში და შემოკლებული RAP-ის სამუშაო ვერსიის განხილვა ზემო ალვანში	40
6	საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი	44
6.1	მიზნები	44
6.2	საჩივრების განხილვის პროცესი	44
6.3	საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის ფორმირება	45
7	განხორციელების გრაფიკი	45
8	ხარჯები და დაფინანსება	46
8.1	კომპენსაცია ადგილმონაცვლეობისათვის	46
8.2	კომპენსაცია ბიზნეს საქმიანობის შეწყვეტისათვის	46
8.3	დახმარება მოწყვლადი (დაუცველი) მოსახლეობისათვის	46
8.4	მიწის შესყიდვისა და განსახლების ღირებულება და ფინანსური სახსრების მოძრაობა	46
9	მონიტორინგი და ანგარიშგება	47
9.1	შესავალი	47
9.2	მონიტორინგის და შეფასების ინდიკატორები	47
9.3	მონიტორინგის დონე	48
	დანართი	49

## ტერმინების განმარტება

**ბენეფიციარი თემი** – ყველა პირი და შინამეურნეობა, რომელიც განთავსებულია მთავრობის საკუთრებაში მყოფ ან შექმნილ ქონებაში, რომლებიც ნებაყოფლობით უწყობენ ხელს პროექტს და წარმოადგენენ მის ნაწილს და ჰყავთ წარმომადგენლობა თემის ასოციაციის სახით, რომელიც აღიარებულია თემის მობინადრეთა მიერ, უფლებამოსილია ადგილობრივი მმართველობის მიერ და რეგისტრირებულია შესაბამის დაწესებულებაში.

**კომპენსაცია** – გადახდა ნაღდი ფულით ან შექმნილი აქტივის ჩანაცვლების ღირებულებით.

**უფლებამოსილება** – რიგი ღონისძიებები, რაშიც შედის კომპენსაცია, შემოსავლის აღდგენა, ტრანსფერში დახმარება, შემოსავლის ჩანაცვლება, და გადაადგილება, რაც ეხება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებს, და დამოკიდებულია მათი დანაკარგის ტიპზე, მათი ეკონომიური და სოციალური ბაზის აღსადგენად.

**კეთილმოწყობა** – იგება ნაგებობები (საცხოვრებელი სახლი, ღობე, მოსაცდელი ფარდულები, სადგომები ცხოველებისთვის, კომუნიკაციები, კომუნალური მეურნეობა, მაღაზიები, საწყობები, და ა.შ.) და ცალკეული პირების, შინამეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ ირგებება ნათესები და ნარგავები.

**ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი /ხალხი** – ნებისმიერი პირი, რომელზეც ზემოქმედებას ახდენს პროექტთან დაკავშირებული ცვლილებები, როგორცაა მიწით, წყლით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, ან შემოსავლის დაკარგვა.

**ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობა (ოჯახი)**- შინამეურნეობის ყველა წევრი, რომელიც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს და ფუნქციონირებს, როგორც ერთი ეკონომიკური რგოლი და რომლებზეც პროექტი, ან მისი რომელიმე კომპონენტი უარყოფით ზემოქმედებას ახდენს. იგი შესაძლოა შედგებოდეს ერთი ნუკლეარული ოჯახისაგან ან გაფართოებული ოჯახის ჯგუფისაგან.

**ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესი:** ნებისმიერი ბიზნესი, რომელზეც ზემოქმედებას ახდენს პროექტთან დაკავშირებული ცვლილებები.

**ადგილმონაცვლეობა** - ზემოქმედების ქვეშ მყოფი ხალხის/ოჯახის გადაადგილება მათი პროექტამდელი საცხოვრებელი ადგილიდან.

**ჩანაცვლების ღირებულება** - ფასი, რომელიც განისაზღვრება როგორც სამართლიანი კომპენსაცია მიწისათვის, მისი პროდუქტიულობის პოტენციალის, შენობებისა და ნაგებობების ჩანაცვლების ღირებულების (სამშენებლო მასალებისა და მუშახელის ამჟამინდელი რეალური საბაზრო ფასი ამორტიზაციისა და გამოქვითვის გარეშე სალიკვიდაციო სამშენებლო მასალისათვის) და საცხოვრებელი მიწის, ნათესების, ნარგავების და სხვა მოხმარების საგნების საბაზრო ფასის საფუძველზე.

**შემამსუბუქებელი ზომები:** ყველა ის ზომა, რომელიც გატარდება რომელიც გატარდება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ქონებაზე და/ან საარსებო საშუალებებზე პროექტის ყველა უარყოფითი ზემოქმედების შესამსუბუქებლად, რაშიც შედის: კომპენსაცია, ადგილმონაცვლეობა (საჭიროებისამებრ) და დაზიანებული/დანგრეული ინფრასტრუქტურის და ნაგებობების რეაბილიტაცია.

**საკრებულო:** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, შესაბამისად წარმოდგენილია ადგილობრივი საბჭოთი (საკრებულო) და მუნიციპალურ დონეზე - გამგებლით. ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებებს წარმოადგენს მიწათსარგებლობა და ტერიტორიალური დაგეგმვა, დარაიონება, სამშენებლო ნებართვები და ზედამხედველობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება.

## განმარტებითი ბარათი

RAP-ის განხორციელების მთავარ მიზანს წარმოადგენს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სოციალური რესურსების და საარსებო საშუალებების გაუმჯობესება ან მინიმუმ აღდგენა წინასაპროექტო დონემდე. განხორციელების პროცესმა უნდა უზრუნველყოს გამოყოფილი რესურსებით ამ მიზნის დროულად მიღწევა. შესაბამისად, RAP-ის განხორციელების პროცესის მონიტორინგი და ინსტიტუციონალური და ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისათვის გათვალისწინებულია როგორც პროექტის საერთო ფუნქციონირებისა და მართვის განუყოფელი ნაწილი.

საქართველოს მთავრობამ მიმართა მსოფლიო ბანკს, რომ მას დახმარება გაეწია კახეთის რეგიონული პროექტის დაფინანსებაში. შემოთავაზებული პროგრამა მიმართული იქნება ტურიზმისა და სოფლის მეურნეობისაკენ, რომლებიც ეკონომიკური ზრდის ორ ბურჯს წარმოადგენს. შემოთავაზებული საწყისი პროექტი ფოკუსირებული იქნება ტურიზმის სექტორის მხარდაჭერაზე და კერძო სექტორის მიერ კახეთში ინვესტირების ხელშეწყობაზე.

დართლის ადგილობრივი არქიტექტურა ზოგადად და ციხე-სიმაგრის ტიპის საცხოვრებელი სახლები კონკრეტულად, განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს თავისი უნიკალური და გამორჩეული არქიტექტურული ფორმებიდან გამომდინარე.

პროექტი გამიზნულია იმ რამოდენიმე პრობლემის გადასაჭრელად, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს დართლოს მიმზიდველობაზე ტურისტებისათვის და ხელი შეუშალოს მისი ტურისტული პოტენციალის რეალიზებას:

- **სოფელ დართლოში:** კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სოფელში არის 73 ობიექტი, რომელთაგან 72 რესტრუქტურისადაც, აღდგენას და/ან ადაპტაციას საჭიროებს.
- **ტურისტული ზონა:** ჩამომსვლელებისათვის მოეწეობა სპეციალური ტურისტული ზონა. რაშიც შევა კემპინგის ობიექტი სოფელ დართლოს სიახლოვეს, ქუჩის კაფე, საინფორმაციო დაფა, ნიშნები, ნარჩენების შეგროვების ინფრასტრუქტურა (სპეციალური ობიექტი ბუნკერებისათვის და ა.შ.)

## მოსალოდნელი ზემოქმედება და გამოსაყენებელი განსახლების ინსტრუმენტი

სოფლის კლიმატი ცივია და განეკუთვნება ალპურ კლიმატურ ზონას. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს 5°C (ივლისის საშუალო ტემპერატურა დაახლოებით 13-15°C). წლიური ნალექების მოცულობა შეადგენს დაახლოებით 450-900 მმ და იგი უმეტესწილად თოვლის სახით მოდის. შესაბამისად, სოფელში მისასვლელი გზა დაკეტილია წელიწადში 7-8 თვის განმავლობაში.

არც ერთი ადგილობრივი ოჯახი არ რჩება დართლოში მთელი წლის განმავლობაში. სოფელი წარმოადგენს ისტორიულ კურორტს უახლოესი დასახლებების მაცხოვრებლებისა და ტურისტებისათვის. დართლოს სახლების მფლობელთა 90% ალვანის მოსახლეობაა.

პროექტი არ ითვალისწინებს პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ოჯახების, ან ბიზნესების მუდმივ განსახლებას, ან ფიზიკურ გადაადგილებას.

თუმცა ზოგიერთ მაცხოვრებელს მოუწევს დროებითი გადაადგილება ადღგენითი სამუშაოების პერიოდში, გარკვეული ბიზნესების შემოსავალი კი შემცირდება. ოჯახებსა და ბიზნესებზე ნეგატიური ზეგავლენის შემცირების მიზნით, მოცემული განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდა მსოფლიო ბანკის ოფიციალური გამოცემის (WB OP/BP 4.12) და KRDP –ისთვის დამტკიცებული განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად.

კონსულტაციები ჩატარდა საპროექტო ტერიტორიის მაცხოვრებლებსა და ბიზნესის წარმომადგენლებთან. კონსულტაციების პროცესში გაირკვა, რომ პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ოჯახებიდან, თუ ბიზნესებიდან, არავის არ ურჩევნია პროექტით შემოთავაზებულ დროებით საცხოვრებელში გადასვლა. პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ ყველა ოჯახთან ჩატარდა გამოკითხვა, რომლის საფუძველზე, აღნიშნულ პირებს ურჩევნიათ მიიღონ ერთჯერადი კომპენსაცია და ისინი თავად მოძებნიან საკუთარ საცხოვრებელს. პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ბიზნესის ყველა წარმომადგენელი შეთანხმდა, რომ ისინი აიღებენ ერთჯერად კომპენსაციას და გააგრძელებენ რეგულარული ხელფასების გაცემას მათი თანამშრომლების მიმართ. სამშენებლო საქმიანობის დაწყებამდე, ბიზნეს ოფისებში მოეწყობა საინფორმაციო აბრები საკონტაქტო ინფორმაციით და მისამართებით, რომლის მიხედვით თანამშრომლებს ექნებათ ინფორმაცია, თუ ვის მიმართონ, საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. კომიტეტი ვალდებულია განიხილოს ყველა საჩივარი და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს 7 დღის განმავლობაში.

შესასრულებელი სამუშაოების საფუძველზე, შენობები დაიყო სამ კატეგორიად:

- **I კატეგორიის** შენობების მაცხოვრებლებს/მოსარგებლებს არ მოეთხოვებათ დროებითი განსახლება;
- **II კატეგორიის** შენობის მაცხოვრებლებს/მოსარგებლებს ექნებათ დროებითი ადგილმონაცვლეობის შესაძლებლობა;
- **III კატეგორიის** შენობის მაცხოვრებლებს/მოსარგებლებს მოეთხოვებათ დროებითი ადგილმონაცვლეობა.

შენობების კატეგორიის განსაზღვრისათვის გამოყენებულია შემდეგი 20 კრიტერიუმი:

№	სამუშაოების აღწერილობა
1	ფასადის მოპირკეთება
2	კარების/ფანჯრების დაყენება
3	აივნების მოწყობა
4	საძირკვლების და მზიდი კედლების გამაგრება შენობის გარეთ
5	საძირკვლის გამაგრება სარდაფში (არა-საცხოვრებელ



	ტერიტორიაზე)
6	სეისმური სარტყლის მოწყობა სხვენში
7	სახურავის საფარის გამოცვლა
8	სახურავის კონსტრუქციის ნაწილობრივი შეცვლა
9	ღობების და ჭიშკრების რეაბილიტაცია
10	საძირკვლების და მზიდი კედლების გამაგრება შენობის შიგნით
11	მზიდი კედლების ხელახალი მოწყობა ნაწილობრივ
12	სახურავის კონსტრუქციების სრული შეცვლა
13	ახალი სართულის მოწყობა
14	სხვენის მოწყობა
15	აივნის და კიბეების მოწყობა მაშინ, როდესაც შენობასთან მისვლა შეუძლებელია
16	ღობების გაფართოება და გამაგრება
17	ახალი რკინა-ბეტონის იატაკის საფარის მოწყობა
18	სეისმური სარტყლის მოწყობა იატაკის საფარის ღონეზე
19	კედლების სრული ხელახალი მოწყობა
20	შენობის სრული ნგრევა

შენობები, რომელთათვისაც გათვალისწინებულია 1-9 პუნქტებში ჩამოყალიბებული სამუშაოები, განეკუთვნება I კატეგორიას.

შენობები, რომელთათვისაც გათვალისწინებულია 10-16 პუნქტებში ჩამოყალიბებული სამუშაოები, განეკუთვნება II კატეგორიას.

შენობები, რომელთათვისაც გათვალისწინებულია 17-20 პუნქტებში ჩამოყალიბებული სამუშაოები, განეკუთვნება III კატეგორიას.

კვლევამ დაადგინა, რომ სარეაბილიტაციო 72 შენობიდან, 4 არასაცხოვრებელია (წყარო, ქვის ღობე; სათვალთვალ კოშკები და ა.შ); 11 შენობა დანგრეულია ან სხვა მიზეზის გამო არ იცხოვრება, 7 შენობაში განთავსებულია საოჯახო სასტუმრო და 6 გამოიყენება მესაქონლეობასთან დაკავშირებული საქმიანობებისათვის. შესაბამისად არსებული 73 ობიექტიდან რომელთაც უტარდებათ სხვადასხვა ხარისხის სამუშაოები, მხოლოდ 44 უნდა განვიხილოთ როგორც საცხოვრებელი. 44 საცხოვრებელ შენობას ჰყავს 44 მფლობელი:

(ერთ შენობას ჰყავს 2 მფლობელი და ორ შენობას ჰყავს ერთი მფლობელი.)  
კატეგორიზაციის მიხედვით საპროექტო ზონაში განთავსებულ შენობათა უმრავლესობა მიეკუთვნება III კატეგორიას 42 შენობა – 43 მფლობელი, II კატეგორიის ერთი სახლი 1 მფლობელი და I კატეგორიის ერთი სახლი ერთი მფლობელი (ერთ მფლობელს აქვს ორი სახლი, რომელთაგანაც ერთი I კატეგორიას ხოლო ერთი III კატეგორიას მიეკუთვნება).

### ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობები

სოფელი დართლოში, როგორც საქართველოს ყველა სხვა მცირე ზომის სოფლებში შენობებს არ გააჩნიათ საიდენტიფიკაციო საშუალებები (ქუჩის სახელი და სახლის ნომერი). შენობების კატეგორიზაციის, მათი მფლობელის და შესაბამისი კომპენსაციის განსაზღვრის მიზნით წარმოდგენილ გეგმაში

გამოყენებულია 2008 წელს ჩატარებული “სოფელ დართლოს შენობა ნაგებობათა დაფუძნების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების” დროს შენობებისათვის მინიჭებული რიგითი ნომრები (იხილეთ სქემა 1).

ზემოთ აღნიშნული ნაშრომის თანახმად სოფელში განთავსებულია 73 ობიექტი. ნუშერაცია მიცემულია საცხოვრებელ სახლებზე და ისტორიულ ობიექტებზე. 73 ობიექტიდან 5 ობიექტი არ განიხილება წარმოდგენილ განსახლების გეგმაში, ესენია:

- №3 – წარმოადგენს ქვის ღობეს, რომლის შიგნითაც შენობის ნიშანწყალიც კი არ ჩანს;
- №69 – ქვის ღობე;
- №70 - ეკლესია
- №71 – წყარო
- №72 – ორი კოშკი, რომელიც სოფლიდან მოშორებით, დართლოს აღმოსავლეთით მდებარე ხევის მეორე მხარეს მდებარეობს (საპროექტო ზონის გარეთ)

დანგრეულია ან სხვა მიზეზის გამო არ იცხოვრება შემდეგ შენობებში: 11, 26, 36, 43, 45, 47, 57, 59 60, 65, 67, სულ 11 შენობა

7 შენობაში განთავსებულია საოჯახო სასტუმროები, ესენია:

1. საოჯახო სასტუმრო “დართლო” შენობა 68,
2. საოჯახო სასტუმროების ქსელი შპს “სამცხე”, რომელშიც გაერთიანებულია შემდეგი შენობები: 64, 56, 46, 31, 30, 14

ქვემოთმოყვანილი ექვსი შენობა გამოიყენება მესაქონლეობასთან დაკავშირებული მასალებისა და პროდუქტების საწყობებად: 2, 4, 8, 13, 27, 52. ისინი ექვსი მესაქონლის საკუთრებას წარმოადგენს.

შესაბამისად არსებული 72 ობიექტიდან, რომელთაც უტარდებათ სხვადასხვა ხარისხის სამუშაოები, მხოლოდ 44 უნდა განვიხილოთ როგორც საცხოვრებელი.

44 საცხოვრებელ შენობას ჰყავს 44 მფლობელი:

შენობას №15 ჰყავს 2 მფლობელი

შენობებს №28 და №44 ჰყავს ერთი მფლობელი.

კატეგორიზაციის მიხედვით საპროექტო ზონაში განთავსებულ შენობათა უმრავლესობა მიეკუთვნება III კატეგორიას 42 შენობა – 43 მფლობელი, II კატეგორიის ერთი სახლი 1 მფლობელი და I კატეგორიის ერთი სახლი ერთი მფლობელი (ერთ მფლობელს აქვს ორი სახლი, რომელთაგანაც ერთი I კატეგორიას ხოლო ერთი III კატეგორიას მიეკუთვნება). 44 ოჯახს მოეთხოვება ზაფხულის ოთხი თვის გატარება ალტერნატიულ ადგილას დართლოს გარეთ.

## **ზემოქმედება ბიზნესებზე და შემოსავლების დაკარგვა**

საპროექტო ზონაში განთავსებული 2 საოჯახო სასტუმრო, სასტუმრო “დართლო” და სასტუმრო “სამცხე”. სასტუმრო “დართლო” განთავსებულია ერთ შენობაში (12 საწოლი), რომელიც შედგება სამი ბლოკისაგან, ხოლო სასტუმრო “სამცხე” შედგება 6 შენობისაგან (35 საწოლი). ცხრილში 2 მოცემულია საოჯახო სასტუმროებში გაერთიანებული შენობები კატეგორიზაციის და საწოლების

რაოდენობის მიხედვით.

როგორც ხრილიდან ჩანს 5 შენობა მიეკუთვნება III კატეგორიას, ყველა ამ შენობაში განთავსებული ბიზნესი შეწყვეტს აქტივობებს ერთი სეზონით. ამრიგად საერთოდ დაიხურება სასტუმრო “დართლო”. სასტუმრო “სამცხე”-ში დაიხურება 4 შენობა (21 საწოლი რაც “სამცხე”-ს საოჯახო სასტუმროების ქსელის 60% წარმოადგენს).

სამი ოჯახი მისდევს მეცხვარეობას, თვითოეულ მათგანს ჰყავს დაახლოებით 1000 სული ცხვარი. მათ მფლობელობაშია არის საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული სამი სახლი (№ 4, 17 და 52). ყველა სახლი მიეკუთვნება III კატეგორიას. აღნიშნულ სახლებს ისინი იყენებენ როგორც მათ მიერ შექმნილი პროდუქციის საწოლს – ძირითადად ყველის და მატყლის. საძოვრები და ცხვრის ღამის სადგომი განთავსებულია სოფლიდან 200-300 მეტრის მოშორებით, შესაბამისად პროექტი ზეგავლენას ვერ მოახდენს აღნიშნულ ბიზნესზე, არამედ მხოლოდ საწოლად გამოყენებულ შენობებზე. პროდუქციის რეალიზაციას ისინი ახორციელებენ რაიონულ ცენტრში.

მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ გაიცემა კომპენსაცია მათ მიერ დართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე შენობების (ამჟამად დართლოს ჩრდილოეთით არსებობს 9-10 ხელმისაწვდომი შენობა) ქირაობის მიზნით, რაც გამოყენებული იქნება საწოლად და საქონლის ღამის სადგომად და საშუალებას მისცემს მათ იმავე არეალში გააგრძელონ მეცხვარეობა. თვითოეულზე გაიცემა 1, 200 ლარის ოდენობის კომპენსაცია.

სამი ოჯახი მისდევს მეცხოველეობას, ორ მათგანს ჰყავს 15 ძროხა თვითოეულს, ხოლო ერთს – 30; მათ მფლობელობაშია არის საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული სამი სახლი (№ 2, 6 და 13). ყველა სახლი მიეკუთვნება III კატეგორიას. აღნიშნულ სახლებს ისინი იყენებენ როგორც მათ მიერ შექმნილი პროდუქციის საწოლს – ძირითადად ყველის. საძოვრები და საქონლის ღამის სადგომი განთავსებულია სოფლიდან 40-100 მეტრის მოშორებით, შესაბამისად პროექტი ზეგავლენას ვერ მოახდენს აღნიშნულ ბიზნესზე, არამედ მხოლოდ საწოლად გამოყენებულ შენობებზე. პროდუქციის რეალიზაციას ისინი ახორციელებენ რაიონულ ცენტრში.

მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ გაიცემა კომპენსაცია მათ მიერ დართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე შენობების (ამჟამად დართლოს ჩრდილოეთით არსებობს 9-10 ხელმისაწვდომი შენობა) ქირაობის მიზნით, რაც გამოყენებული იქნება საწოლად და საქონლის ღამის სადგომად და საშუალებას მისცემს მათ იმავე არეალში გააგრძელონ მეცხოველეობა. თვითოეულზე გაიცემა 1, 200 ლარის ოდენობის კომპენსაცია.

### პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოწყვლადი პირები

II და III კატეგორიის შენობებში მცხოვრები 44 ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობიდან 2 განეკუთვნება მოწყვლადი პირების ჯგუფს (ერთი მათგანი სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფია, ხოლო მეორე ინვალიდი). ორივე მათგანი ცხოვრობს III კატეგორიის შენობაში და ისინი უფლებამოსილნი არიან დამატებითი ერთჯერადი დახმარების მიღებაზე, რაც უდრის თვიურ სარსებო მინიმუმს ხუთსულიანი ოჯახისათვის.

## კომპენსაცია დროებითი ადგილმონაცვლეობისათვის

სოფელ დართლოში მდებარე 44 შენობიდან, რომელიც ფიზიკურ სამუშაოებს დაექვემდებარება პროექტის ფარგლებში, 1 შენობა განეკუთვნება I კატეგორიას, 1 შენობა – II კატეგორიას, ხოლო 42 შენობა – III კატეგორიას.

44 შენობაში 44 ოჯახი ცხოვრობს ზაფხულის ოთხი თვის განმავლობაში.

შენობების კატეგორიზაციის მიხედვით, ზემოხსენებული 44 ოჯახი ამგვარად არის განაწილებული:

- I კატეგორიის 1 შენობაში ცხოვრობს 1 ოჯახი (ამ ოჯახს ასევე დაკავებული აქვს ერთი III კატეგორიის შენობა)
- II კატეგორიის 1 შენობაში ცხოვრობს 1 ოჯახი
- III კატეგორიის 42 შენობაში ცხოვრობს 43 ოჯახი (იმ ოჯახის ჩათვლით, რომელსაც ასევე დაკავებული აქვს ერთი I კატეგორიის შენობა).

43 ოჯახი, რომელიც ცხოვრობს III კატეგორიის შენობებში სასწრაფო დროებით ადგილმონაცვლეობას დაექვემდებარება. რაც შეეხება II კატეგორიის შენობებში მცხოვრებ 1 ოჯახი, ისინი დაექვემდებარებიან ადგილმონაცვლეობას იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს მშენებლობის უსაფრთხოების სტანდარტები, ან აღნიშნული ოჯახების წევრები მოისურვებენ დროებით ადგილმონაცვლეობას.

რაც შეეხება II და III კატეგორიის შენობებში მობინადრე ოჯახების ადგილმონაცვლეობის ხანგრძლივობას, იგი 4 თვეს შეადგენს.

## ასანაზღაურებელი თანხის გამოთვლის მეთოდოლოგია

საკომპენსაციო თანხა ეკვივალენტურია 800 ლარის (4 თვის არენდის ღირებულება 200 ლარი X 4 თვეზე) თითოეული ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახისათვის, რომელიც დართლოდან დროებით ადგილმონაცვლეობას დაექვემდებარება – 44 ოჯახი.

აპრილ მაისში ჩატარებული გამოკითხვის დროს ვერ მოხერხდა თვითოეულ ოჯახის წევრთა რაოდენობის განსაზღვა, რიგი მიზეზების გამო:

1. დართლოში ყველა არსებული შენობას მოსახლეობა იყენებს სეზონურად (4 – 4-5 თვე) დასვენების მიზნით, შესაბამისად შეიძლება სახლის მფლობელის ბინის ოჯახი შედგებოდეს 5 წევრისაგან, რომელთაგანაც დართლოში ადიოდეს ერთ წელს სამი მეორე წელს 4;
2. შესაძლებელია ბინის მფლობელი ცხოვრობდეს მარტო მაგრამ დართლოში ამ ბინაში ზაფხულობით ადიოდეს 10 სული, გამომდინარე იქიდან რომ ამ პირის შვილები და შვილიშვილები ცხოვრობენ ცალკე, ხოლო ისვენებენ - ერთად;
3. ასევე გამომდინარე ნათესაური ტრადიციებიდან სშირია ახლო ნათესავებთან სტუმრობა დასვენების მიზნით, უმეტესად მთელ სეზონზე.

კვლევებმა აჩვენა, რომ საშუალოდ სეზონზე თვითოეულ სახლში ისვენებს 5-6 ადამიანი. რადგან ვერ მოხერხდა ოჯახების შემადგენლობის განსაზღვრა, მოსახლეობასთან ჩატარებული კონსულტაციების შედეგად გადაწყდა რომ ყველა ოჯახს მიეცემოდა თანაბარი კომპენსაცია ზაფხულში სათანადო დასასვენებელი სახლის დაქირავების მიზნით.

---

სატრანსპორტო ხარჯების განსაზღვრა 400 ლარი თვითოეულ ოჯახზე შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარე:

1. დართლოში არსებული სახლების დიდი ნაწილი ხვდება საპროექტო ზონაში, დაახლოებით 90%. საპროექტო ზონის გარეთ, მის ჩრდილოეთით განთავსებული 9-10 შენობა არ განიცდის ზემოქმედებას პროექტის განხორციელების შედეგად. ამ შენობების დაქირავება მოხდება მეცხოველეობით დაკავებული ოჯახების მიერ (6 ოჯახი);
2. ყველა შენობა რომელიც განთავსებულია საპროექტო ზონაში (გარდა ორი შენობისა) პროექტის განხორციელების შედეგად განიცდის მაღალი დონის ზეგავლენას, რაც მოითხოვს შენობებში არსებული ავეჯის გატანის აუცილებლობას;
3. მაღალბორტიანი მანქანის (რომელიც გამოიყენება ავეჯის გადასატანად) დაქირავება რაიონული ცენტრიდან დართლომდე ღირს 1000-1200 ლარი (ერთი გზა).

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ერთი მაღალბორტიანი მანქანით შესაძლებელია 5-6 ოჯახის მფლობელობაში არსებული ავეჯის გადატანა რამაც ორივე მიმართულებით მოითხოვა თითოეულ ოჯახზე 400 ლარის კომპენსაციის გაცემის აუცილებლობა. ის ოჯახი, რომელიც III კატეგორიის შენობიდან I კატეგორიის შენობაში გადავა დართლოშივე ასევე მიიღებს 400 ლარის ოდენობის კომპენსაციას ავეჯის გადასაზიდად.

---

### კომპენსაცია ბიზნესის შეწყვეტისა და შემოსავლის დანაკარგისათვის

პროექტის ზემოქმედების არეალში დროებით მოქცეული ბიზნესების 2 მლობელი უფლებამოსილია მიიღოს კომპენსაცია ბიზნესის სარგებელის დაკარგვისათვის, ბიზნესებზე აღნიშნული ზეგავლენის პერიოდში. საკომპენსაციო თანხის დაანგარიშება მოხდა ბიზნესის მფლობელებთან მჭიდრო კონსულტაციების საფუძველზე.

კომპენსაცია ბიზნესის სარგებელის დაკარგვისათვის ბიზნესის შეწყვეტის გამო 2 ბიზნესისათვის შეადგენს - 39,600.00 ლარს

წინამდებარე RAP არ ითვალისწინებს რაიმე სახის კომპენსაციას ზემოქმედების ქვეშ მყოფ ბიზნესთა თანამშრომლებისათვის, რადგანაც ბიზნესის მფლობელებმა ვალდებულია აიღოს გადაუხადონ მათ სრული ხელფასები ბიზნესის შეწყვეტის პერიოდში.

ექვს მესაქონლეზე გაიცემა 1, 200 ლარის ოდენობის კომპენსაცია მათ მიერ დართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე შენობების (ამჟამად დართლოს ჩრდილოეთით არსებობს 9-10 ხელმისწვდომი შენობა) ქირაობის მიზნით, რაც გამოყენებული იქნება საწყობად და საქონლის ღამის სადგომად.



## დახმარება მოწყვლადი მოსახლეობისათვის

II და III კატეგორიის შენობებში მცხოვრები 44 ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობიდან 2 განეკუთვნება მოწყვლადი პირების ჯგუფს (ერთი მათგანი სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფია, ხოლო მეორე ინვალიდი). ორივე მათგანი ცხოვრობს III კატეგორიის შენობაში და ისინი უფლებამოსილნი არიან დამატებითი ერთჯერადი დახმარების მიღებაზე, რაც უდრის თვიურ სარსებო მინიმუმს ხუთსულიანი ოჯახისათვის (313 ლარი).

## მიწის შექენის და განსახლების ღირებულების და თანხების მოდინების შეჯამება

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ჩამოყალიბებულია პროექტით დაზარალებული ოჯახების და ბიზნესებისთვის გასაცემი კომპენსაციის და დახმარების სახეობები და მოცულობები. მთავრობა თანახმაა, რომ აღნიშნული კომპენსაციები გასცეს ერთჯერადი თანხის სახით.

კომპენსაციის მატრიცა

პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ოჯახები: ზემოქმედების არეალში მოქცეულ შენობებში მცხოვრები პირები (მფლობელების და დამქირავებლების ჩათვლით)				
შენობის კატეგორია	ოჯახის სულადობა	პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ოჯახების რაოდენობა	კომპენსაციის განსაზღვრა	მთლიანი საკომპენსაციო ღირებულება
<b>I კატეგორია (0 - პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ოჯახი):</b> ადგილმონაცვლეობა საჭირო არ არის. სამუშაოები არ იწვევს მობინადრეების საცხოვრებელი პირობების მნიშვნელოვან შეზღუდვას, დისკომფორტს, სანიტარული სტანდარტების დარღვევას. მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზეგავლენა გათვალისწინებული არ არის.		1 (არა როგორც პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ოჯახი)	ა/ე	0 ლარი
<b>II კატეგორია (1 პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ოჯახი):</b> შესაძლოა საჭირო გახდეს მაცხოვრებელთა დროებით ადგილმონაცვლეობა. სამუშაოები გარკვეულწილად გამოიწვევს მობინადრეთა საცხოვრებელი პირობების შეზღუდვას. კონკრეტულ შემთხვევებში მოსალოდნელია სანიტარული სტანდარტების დარღვევა. შესაძლოა გარკვეული ზეგავლენა მოსახლეობის უსაფრთხოებაზე		1	ერთჯერადო კომპენსაცია 800 ლარის ოდენობით (არენდის ღირებულება 200 ლარის ოდენობით X 4 თვეზე), დამატებული 400 ლარი (ადგილმონაცვლეობის ღირებულება) = 1,200 ლარი პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ თითოეულ ოჯახზე	1,200 ლარი

<p><b>III კატეგორია (პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული 43 ოჯახი):</b></p> <p>საჭიროა მაცხოვრებელთა დროებითი ადგილმონაცვლეობა. სამუშაოები მნიშვნელოვნად ზღუდავს მობინადრეთა საცხოვრებელ პირობებს და არღვევს სანიტარულ სტანდარტებს. მაცხოვრებელთა უსაფრთხოება შესაძლოა არ იყოს დაცული.</p>		43	<p>ერთჯერადო კომპენსაცია 800 ლარის ოდენობით (არენდის ღირებულება 200 ლარის ოდენობით X 4 თვეზე), დამატებული 400 ლარი (ადგილმონაცვლეობის ღირებულება) = <b>1,200 ლარი პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ თითოეულ ოჯახზე</b></p>	51,600 ლარი
დახმარება მოწყვედი მოსახლეობისათვის		2 (III კატეგორიის შენობებში მობინადრე 43 ოჯახიდან)	უფლებამოსილი არიან დამატებითი ერთჯერადი დახმარების მიღებაზე, რაც უდრის თვიურ სარსებო მინიმუმს ხუთსულიანი ოჯახისათვის (313 ლარი).	626 ლარი
შუალედური ჯამი	44	ერთჯერადი კომპენსაცია	<b>53,426 ლარი</b>	
<b>პროექტის არეალში მოქცეული ბიზნესები: პროექტის არეალში მოქცეულ შენობებში მოქმედი ბიზნესების მფლობელები</b>				
ბიზნესის ან შემოსავლის წყაროს ტიპი	პროექტის არეალში მოქცეული ბიზნესების რაოდენობა	კომპენსაციის განსაზღვრა	მთლიანი საკომპენსაციო ღირებულება	
საოჯახო სასტუმროები	2	300 ლარი (საწოლზე) X 4 თვეზე = 1,200 ლარს საწოლზე	39,600 ლარი	
მეცხვარეობა	3	1,200 ლარი (ოჯახზე) ალტერნატიული შენობის არენდის ხარჯისათვის	3,600 ლარი	
მესაქონლეობა	3	1,200 ლარი (ოჯახზე) ალტერნატიული შენობის არენდის ხარჯისათვის	3,600 ლარი	
შუალედური ჯამი	8	ერთჯერადი კომპენსაცია	<b>46,800 ლარი</b>	
<b>ჯამი</b>				
მთლიანი ჯამი			<b>100,226 ლარი</b>	



# 1. შესავალი

## 1.1. პროექტის საფუძველი

ოთხწლიანი სწრაფი ზრდის შემდეგ, რომლის დროსაც აღინიშნებოდა შორს გამიზნული რეფორმების განხორციელება და ძლიერი ფინანსური ინვესტიციების შემოსვლა, საქართველომ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად მკვეთრი ეკონომიური დაღმასვლა და გლობალური ფინანსური კრიზისი განიცადა. ეკონომიკური აღდგენა კვლავ იწყება 2010 წლის დაახლოებით 6.3 პროცენტით ზრდით. სახელისუფლებო ორგანოებმა ზემოთ აღნიშნულ დაღმასვლას უპასუხეს ანტიციკლური ფისკალური სტიმულით, მიმართეს რა სახელმწიფო ხარჯები სოციალური და ინფრასტრუქტურული ინვესტიციებისაკენ. ეკონომიკური აღდგენის დაწყებიდან, რასაც ხელს უწყობს ექსპორტის და კერძო ინვესტიციების განხორციელება, სახელისუფლებო ორგანოები ანხორციელებენ ფისკალურ რეგულირებას უსაფრთხო მდგრადობისათვის, თუმცა ეკონომიკური აღდგენის ეტაპებთან დაკავშირებით მაინც არსებობს გაურკვევლობა. საქართველოს დასტირდება სახელმწიფო სესხის დაფარვის ინდიკატორის ხელახალი დაფინანსება 2013 წ. სახელისუფლებო ორგანოები აღნიშნულ საკითხებს უმკლავდებიან კარგად ჩამოყალიბებული ფისკალური, სავალუტო და სესხის მენეჯმენტის პოლიტიკით. ინფრასტრუქტურულ პროექტებს მთავრობა მიიჩნევს ფიზიკური სტიმულის პაკეტის ნაწილად.

მთავრობამ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში განახორციელა საქმიანობის რეფორმების რამდენიმე ინიციატივის წამოწყებით, შერჩეული რეგიონების (თბილისი, აჭარა და იმერეთი) სხვადასხვა სექტორებში კერძო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, თუმცა საქართველოს ჯერ სრულად არ გამოუყენებია საკუთარი პოტენციული იმედის მომცემ რეგიონებში, მაგალითად კახეთის მსგავს რეგიონებში, მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობის, ან სოფლის ეკონომიკის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობის მიწოდებებში ინვესტიციების განხორციელების საშუალებით, როგორც ექსპორტის ისე იმპორტის ნაცვლად. არსებობს ასევე გარკვეული უნარების განვითარების საჭიროება, მზარდი ეკონომიკისა და გაზრდილი პრუდუქტიულობისთვის საჭირო შესაბამისი უნარების მქონე მუშახელის უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს მთავრობამ სთხოვა მსოფლიო ბანკს კახეთის რეგიონული განვითარების მხარდაჭერა, ვერტიკალური პროგრამული მიდგომის გამოყენებით. ინტერვენციების შემოთავაზებული პროგრამა ყურადღებას გაამახვილებს ტურიზმსა და სოფლის მეურნეობაზე, როგორც ორ ძირითად ფაქტორზე ეკონომიკური ზრდის საქმეში. შემოთავაზებული საწყისი პროექტი ფოკუსირებული იქნება ტურიზმის სექტორის მხარდაჭერაზე და კერძო სექტორისთვის შესაბამისი გარემოს შექმნაზე, კახეთში ინვესტიციების განხორციელების მიზნით.

კახეთის რეგიონული განვითარების შემოთავაზებული პროგრამა შედგება 2 ძირითადი კომპონენტისგან:

- 1 კომპონენტი: ინფრასტრუქტურული ინვესტიცია
- მე-2-ე კომპონენტი: ინსტიტუციონალური განვითარება

ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვით-მმართველობების მიმართ, კერძოდ, საინვესტიციო ქვე-პროექტები ურბანული აღდგენისათვის: ინტეგრირებული მიდგომა **თელავის, ყვარლის და დართლოს** (როგორც კულტურული მემკვიდრეობის სოფლის) ურბანული ტრანსფორმაციის მიმართ.

## 1.2. დართლოს ქვე-პროექტი

დართლო არის სოფელი თუშეთის რეგიონში. თუშეთი მდებარეობს კავკასიონის ქედის

ჩრდილოეთ ნაწილში, დიდ ხეობაში, რომელიც მოიცავს თუშეთისა და პირიქითა ალაზნის ხეობებს. ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით რეგიონი ესაზღვრება ჩეჩნეთს და დაღესტანს, ხოლო დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით – ხევსურეთსა და კახეთს. იგი წარმოადგენს კავკასიის ერთ-ერთ ყველზე ეკოლოგიურად სუფთა რეგიონს. პირველი ინფორმაცია თუშეთის ისტორიის შესახებ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3-ე საუკუნით თარიღდება, მეფე ფარნავაზის ხანაში, ჩვენი წელთაღრიცხვით მე-2-ე საუკუნის ბერძენმა გეოგრაფმა პტოლემოსმა მოგვაწოდა პირველი წერილობითი ინფორმაცია ტომების შესახებ, რომლებიც “თუშ-კოი“-ს სახელით იყვნენ ცნობილნი და კავკასიის მთებში ცხოვრობდნენ. გათხრების დროს აღმოჩენილი საგნების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს რეგიონი ბრინჯაოს ხანიდან არსებობს. აქ აღმოჩენილი იქნა წინა და ადრე ქრისტიანული ციხე-სიმაგრეები, სამარხები, კულტურული ობიექტები და საცხოვრებელი სახლები. არქეოლოგებმა ასევე აღმოაჩინეს სამარხები სამკაულებით, სპილენძის და კერამიკული თევზებით, იარაღები, ცხენის აღჭურვილობა, და საყოფაცხოვრებო და რიტუალური ნივთები.

დართლის ადგილობრივი არქიტექტურა ზოგადად და ციხე-სიმაგრის ტიპის საცხოვრებელი სახლები კონკრეტულად, განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს თავისი უნიკალური და გამორჩეული არქიტექტურული ფორმებიდან გამომდინარე. დართლოს თვითმყოფადი არქიტექტურა სრულიად შენარჩუნებულია არქიტექტურულ ფორმებში, მასალებში, ადგილმდებარეობაში და სხვა საჭირო ატრიბუტებში. ეს სოფელი, როგორც მთელი თუშეთის რეგიონი ღირსშესანიშნავია თავისი ალპური ლანდშაფტების არაჩვეულებრივი სილამაზით და უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც მრავალრიცხოვანი იშვიათი და ენდემური ცხოველური და მცენარეული სახეობების სამყოფელს.

პროექტი გამიზნულია იმ რამოდენიმე პრობლემის გადასაჭრელად, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს დართლოს მიმზიდველობაზე ტურისტებისათვის და ხელი შეუშალოს მისი ტურისტული პოტენციალის რეალიზებას:

- **სოფელ დართლში:** კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სოფელში არის 73 ობიექტი, რომელთაგან 72 რესტრუქტურისადაც, აღდგენას და/ან ადაპტაციას საჭიროებს.
- მრავალი ნაგებობა დაზიანებული ან ზოგიერთი ნიშნით არ შეესატყვისება დართლოს ისტორიულ და ტრადიციულ ლანდშაფტს. ეს ნაგებობები დაექვემდებარება რესტრუქტურისადაც და აღდგენას.
- **ტურისტული ზონა:** ჩამომსვლელებისათვის მოეწეობა სპეციალური ტურისტული ზონა. რაშიც შევა კემპინგის ობიექტი სოფელ დართლოს სიახლოვეს, ქუჩის კაფე, საინფორმაციო დაფა, ნიშნები, ნარჩენების შეგროვების ინფრასტრუქტურა (სპეციალური ობიექტი ბუნკერებისათვის და ა.შ.)

### 1.3. მოსალოდნელი ზეგავლენა და განსახლების შესაბამისი მეთოდოლოგია

პროექტი ითვალისწინებს მუდმივი განსახლებით გამოწვეული ზეგავლენის და პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულის ოჯახების ფიზიკული ადგილმონაცვლეობის გამორიცხვას. პროექტის გრძელვადიანი სოციალური ზეგავლენა სასარგებლოა, რადგან საცხოვრებელ შენობებში გაუმჯობესდება სანიტარული მდგომარეობა და რეაბილიტირებული შენობების გარეგნული მხარე და რეალური ღირებულება გაიზრდება. მოკლე-ვადიანი პერსპექტივით, გათვალისწინებულია დროებითი ზეგავლენა 2 იურიდიულ პირზე (ბიზნესებზე) და პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ 44 ოჯახზე.

მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს მიხედვით, მსოფლიო ბანკის სამოქმედო

საქელმძღვანელოს (WB OP/BP 4.12) და KRDP –ისთვის დამტკიცებული განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი ითხოვს შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებას. შემოკლებული გეგმით გათვალისწინებული შემდეგი მინიმალური ელემენტები:

- (ა) პროექტის არეალში მოქცეული პირების, საკუთრების და მათი შემოსავლის სავარაუდო დანაკარგის აღწერითი შესწავლა;
- (ბ) კოპენსაციის და განსახლებასთან დაკავშირებული სხვა დახმარების აღწერა;
- (გ) კონსულტაციები გადაადგილებულ პირებთან მისაღები ალტერნატივების თაობაზე;
- (დ) ინსტიტუციონალური პასუხისმგებლობა განხორციელებაზე და დავეების გადაწყვეტის პროცედურებზე;
- (ე) მონიტორინგის და განხორციელების დონისძიებები; და
- (ვ) სამუშაოების კალენდარული გრაფიკი და ბიუჯეტი.

შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადების მიზნით, პროექტის არეალში მოქცეული შენობების კატეგორიზაცია განხორციელდა შემდეგი სახით:

- ა) I კატეგორიის შენობების მობინადრეებს/მომხმარებლებს არ მოეთხოვებათ დროებითი ადგილმონაცვლეობა;
- ბ) II კატეგორიის შენობების მობინადრეებს /მომხმარებლებს მიეცემათ დროებითი ადგილმონაცვლეობის შესაძლებლობა;
- გ) III კატეგორიის შენობების მობინადრეებს/მომხმარებლებს მოეთხოვებათ დროებითი ადგილმონაცვლეობა.

შენობების კატეგორიების განსაზღვრისათვის გამოყენებულია შემდეგი 20 კრიტერიუმი:

№	სამუშაოების აღწერა
1	ფასადის მოპირკეთება
2	კარებების/ფანჯრების დაყენება
3	აივნების მოწყობა
4	საძირკვლების და მზიდი კედლების გამაგრება შენობის გარეთ
5	საძირკვლის გამაგრება სარდაფში (არა-საცხოვრებელ ტერიტორიაზე)
6	სეისმური სარტყლის მოწყობა სხვენში
7	სახურავის საფარის გამოცვლა
8	სახურავის კონსტრუქციის ნაწილობრივი შეცვლა
9	ღობების და ჭიშკრების რეაბილიტაცია
10	საძირკვლების და მზიდი კედლების გამაგრება შენობის შიგნით
11	მზიდი კედლების ხელახალი მოწყობა ნაწილობრივ
12	სახურავის კონსტრუქციების სრული შეცვლა
13	ახალი სართულის მოწყობა
14	სხვენის მოწყობა
15	აივნის და კიბეების მოწყობა მაშინ, როდესაც შენობასთან მისვლა შეზღუდულია
16	ღობების გაფართოება და გამაგრება
17	ახალი რკინა-ბეტონის იატაკის საფარის მოწყობა
18	სეისმური სარტყლის მოწყობა იატაკის საფარის დონეზე
19	კედლების სრული ხელახალი მოწყობა
20	შენობის სრული ნგრევა

შენობები, რომელთათვისაც გათვალისწინებულია 1-9 პუნქტებში ჩამოყალიბებული სამუშაოები, განეკუთვნება I კატეგორიას.

შენობები, რომელთათვისაც გათვალისწინებულია 10-16 პუნქტებში ჩამოყალიბებული

სამუშაოები, განეკუთვნება II კატეგორიას.

შენობები, რომელთათვისაც გათვალისწინებულია 17-20 პუნქტებში ჩამოყალიბებული სამუშაოები, განეკუთვნება III კატეგორიას.

სარეაბილიტაციო 72 შენობიდან, 4 არასაცხოვრებელია (წყარო, ქვის ღობე; სათვალთვალ კოშკები და ა.შ); 11 შენობა დანგრეულია ან სხვა მიზეზის გამო არ იცხოვრება, 7 შენობაში განთავსებულია საოჯახო სასტუმრო და 6 გამოიყენება მესაქონლეობასთან დაკავშირებული საქმიანობებისათვის. შესაბამისად არსებული 73 ობიექტიდან რომელთაც უტარდებათ სხვადასხვა ხარისხის სამუშაოები, მხოლოდ 44 უნდა განვიხილოთ როგორც საცხოვრებელი. 44 საცხოვრებელ შენობას ჰყავს 44 მფლობელი:(ერთ შენობას ჰყავს 2 მფლობელი და ორ შენობას ჰყავს ერთი მფლობელი.)

კატეგორიზაციის მიხედვით საპროექტო ზონაში განთავსებულ შენობათა უმრავლესობა მიეკუთვნება III კატეგორიას 42 შენობა – 43 მფლობელი, II კატეგორიის ერთი სახლი 1 მფლობელი და I კატეგორიის ერთი სახლი ერთი მფლობელი (ერთ მფლობელს აქვს ორი სახლი, რომელთაგანაც ერთი I კატეგორიას ხოლო ერთი III კატეგორიას მიეკუთვნება).

#### 14. შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება

1. მოცემული განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდა კონტრაქტის გასაფორმებელი პირობის სახით. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია საქართველოს კანონებთან და იძულებით განსახლებასთან დაკავშირებულ მსოფლიო ბანკის ღია გამოცემის (OP) 4.12 დებულებებთან, ისევე როგორც განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის განახლებული ვერსიის შესაბამისად, რომელიც შეიმუშავა მგფ-მ 2011 წელს “კახეთის რეკონსტრუქციის და განვითარების პროგრამისათვის”. განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება ითვალისწინებს კვლევას და კონსულტაციებს: (1) პროექტის არეალში მოქცეული ოჯახების და კომერციული დაწესებულებების დეტალური აღრიცხვა; (2) პროექტთან დაკავშირებული ზეგავლენების აღწერა, დროებითი დანაკარგების შეფასება და აუცილებელი კომპენსაციებისა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ფულადი დახმარებების და ღონისძიებების შეფასება; (3) ინტენსიური კონსულტაციები პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ ოჯახებთან, ბიზნესებთან და სხვა მხარეებთან ჩატარდა პროცესის განმავლობაში. კვლევიითი და საკონსულტაციო საქმიანობა განხორციელდა 2012 წლის ივლისში.

#### 15. პროექტის განხორციელების პირობები

1 მსოფლიო ბანკის პოლიტიკის/პრაქტიკის საფუძველზე, პროექტის განხორციელების დამტკიცება დაფუძნებული იქნება განსახლების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებულ შემდეგ პირობებთან:

- (1) **კონტრაქტის გაფორმება:** ექვემდებარება განსახლების სამოქმედო გეგმის დამტკიცებას მსოფლიო ბანკის და მთავრობის მიერ;
- (2) **საქმიანობის დაწყების შეტყობინება კონტრაქტორებისთვის:** ექვემდებარება მე-2-ე და მე-3-ე კატეგორიების შენობების განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სამობილიზაციო საქმიანობა და სამშენებლო სამუშაოები I კატეგორიის შენობებში, შესაძლოა დაიწყოს მოცემული შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის დამტკიცებისთანავე.

## 2. აღწერა და ზამოქმედების შეფასება

### 2.1. შესავალი


ზეგავლენის შეფასება დეტალურად აღწერს გარკვეული მაცხოვრებლების დროებით ადგილმონაცვლეობას საკუთარი საცხოვრებელი ბინებიდან, კომერციულ/ბიზნეს ობიექტებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას და აღნიშნულთან დაკავშირებით, შემოსავლის დროებით დაკარგვას.

საპროექტო ინფორმაციის საფუძველზე და დართლოს მუნიციპალიტეტის დახმარებით, აღწერილ იქნა პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირების 100%. აღნიშნული კვლევები დაიწყო 2012 წლის 15 აპრილს და დასრულდა 2012 წლის 15 მაისს. აღწერის დაწყების თარიღი მიიჩნევა კომპენსაციის უფლებამოსილების განსაზღვრის ბოლო თარიღად, რაც შესაბამისად არის 2012 წლის 15 მაისი.

### 2.2. ზემოქმედების შეფასება

#### 2.2.1. ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობა

სოფელი დართლოს, როგორც საქართველოს ყველა სხვა მცირე ზომის სოფლებში შენობებს არ გააჩნიათ საიდენტიფიკაციო საშუალებები (ქუჩის სახელი და სახლის ნომერი). შენობების კატეგორიზაციის, მათი მფლობელის და შესაბამისი კომპენსაციის განსაზღვრის მიზნით წარმოდგენილ გეგმაში გამოყენებულია 2008 წელს ჩატარებული “სოფელ დართლოს შენობა ნაგებობათა დაფუძნების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების” დროს შენობებისათვის მინიჭებული რიგითი ნომრები (იხილეთ სქემა 1).



სქემა 1: სოფელ დართლოს გენგეგმა

ზემოთ აღნიშნული ნაშრომის თანახმად სოფელში განთავსებულია 73 ობიექტი. ნუმერაცია მიცემულია საცხოვრებელ სახლებზე და ისტორიულ ობიექტებზე. 73 ობიექტიდან 5 ობიექტი არ განიხილება წარმოდგენილ განსახლების გეგმაში, ესენია:

№3 – წარმოადგენს ქვის ღობეს, რომლის შიგნითაც შენობის ნიშანწყალიც კი არ ჩანს;

№69 – ქვის ღობე;

№70 - ეკლესია

№71 – წყარო

№72 – ორი კოშკი, რომელიც სოფლიდან მოშორებით, დართლოს აღმოსავლეთით მდებარე ხევის მეორე მხარეს მდებარეობს (საპროექტო ზონის გარეთ)

დანგრეულია ან სხვა მიზეზის გამო არ იცხოვრება შემდეგ შენობებში: 11, 26, 36, 43, 45, 47, 57, 59 60, 65, 67, სულ 11 შენობა

7 შენობაში განთავსებულია საოჯახო სასტუმროები, ესენია:

3. საოჯახო სასტუმრო “დართლო” შენობა 68,

4. საოჯახო სასტუმროების ქსელი შპს “სამცხე”, რომელშიც გაერთიანებულია შემდეგი შენობები: 64, 56, 46, 31, 30, 14

ქვემოთმოყვანილი ექვსი შენობა გამოიყენება მესაქონლეობასთან დაკავშირებული მასალებისა და პროდუქტების საწყობებად: 2, 4, 8, 13, 27, 52. ისინი ექვსი მესაქონლის საკუთრებას წარმოადგენს.

შესაბამისად არსებული 72 ობიექტიდან რომელთაც უტარდებათ სხვადასხვა ხარისხის სამუშაოები, მხოლოდ 44 უნდა განვიხილოთ როგორც საცხოვრებელი.

44 საცხოვრებელ შენობას ჰყავს 44 მფლობელი:

შენობას №15 ჰყავს 2 მფლობელი

შენობებს №28 და №44 ჰყავს ერთი მფლობელი.

კატეგორიზაციის მიხედვით საპროექტო ზონაში განთავსებულ შენობათა უმრავლესობა მიეკუთვნება III კატეგორიას 42 შენობა – 43 მფლობელი, II კატეგორიის ერთი სახლი 1 მფლობელი და I კატეგორიის ერთი სახლი ერთი მფლობელი (ერთ ფლობელს აქვს ორი სახლი, რომელთაგანაც ერთი I კატეგორიას ხოლო ერთი III კატეგორიას მიეკუთვნება). 44 ოჯახს მოეთხოვება ზაფხულის ოთხი თვის გატარება ალტერნატიულ ადგილას დართლოს გარეთ.

შენობის კატეგორია	ოჯახების რაოდენობა
<p><b>I კატეგორია (0 - პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ოჯახი):</b></p> <p>ადგილმონაცვლეობა საჭირო არ არის. სამუშაოები არ იწვევს მობინადრეების საცხოვრებელი პირობების მნიშვნელოვან შეზღუდვას, დისკომფორტს, ან სანიტარული სტანდარტების დარღვევას. მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზეგავლენა გათვალისწინებული არ არის.</p>	1 (არა როგორც პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ოჯახი)
<p><b>II კატეგორია (I პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ოჯახი):</b></p> <p>შესაძლოა საჭირო გახდეს მაცხოვრებელთა დროებით ადგილმონაცვლეობა. სამუშაოები გარკვეულწილად გამოიწვევს მობინადრეთა საცხოვრებელი პირობების შეზღუდვას. კონკრეტულ შემთხვევებში მოსალოდნელია სანიტარული სტანდარტების დარღვევა. შესაძლოა გარკვეული ზეგავლენა მოსახლეობის უსაფრთხოებაზე</p>	1

<p><b>III კატეგორია (პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული 43 ოჯახი):</b></p> <p>საჭიროა მაცხოვრებელთა დროებითი ადგილმონაცვლეობა. სამუშაოები მნიშვნელოვნად ზღუდავს მობინადრეთა საცხოვრებელ პირობებს და არღვევს სანიტარულ სტანდარტებს. მაცხოვრებელთა უსაფრთხოება შესაძლოა არ იყოს დაცული.</p>	43
სულ	44 პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ოჯახი (ერთ ფლობელს აქვს ორი სახლი, რომელთაგანაც ერთი I კატეგორიას ხოლო ერთი III კატეგორიას მიეკუთვნება)

### 2.2.2. ზემოქმედება ბიზნესებზე და შემოსავლების დაკარგვა

საპროექტო ზონაში განთავსებული 2 საოჯახო სასტუმრო, სასტუმრო “დართლო” და სასტუმრო “სამცხე”. სასტუმრო “დართლო” განთავსებულია ერთ შენობაში (12 საწოლი), რომელიც შედგება სამი ბლოკისაგან, ხოლო სასტუმრო “სამცხე” შედგება 6 შენობისაგან (35 საწოლი). ცხრილში 2 მოცემულია საოჯახო სასტუმროებში გაერთიანებული შენობები კატეგორიზაციის და საწოლების რაოდენობის მიხედვით.

№	სასტუმრო	შენობის საპროექტო №	შენობის კატეგორია	საწოლების რაოდენობა	1 დღე/ღამის რირებულება
1	სასტუმრო “დართლო”	68	III	12	25 ლარი
2	სასტუმრო “სამცხე”	14	I	8	25 ლარი
3	სასტუმრო “სამცხე”	30	III	5	25 ლარი
4	სასტუმრო “სამცხე”	31	III	4	25 ლარი
5	სასტუმრო “სამცხე”	46	III	6	25 ლარი
6	სასტუმრო “სამცხე”	56	III	6	25 ლარი
7	სასტუმრო “სამცხე”	64	II	6	25 ლარი

როგორც ცხრილიდან ჩანს 5 შენობა მიეკუთვნება III კატეგორიას, ყველა ამ შენობაში განთავსებული ბიზნესი შეწყვეტს აქტივობებს ერთი სეზონით. ამრიგად საერთოდ დაიხურება სასტუმრო “დართლო”. სასტუმრო “სამცხე”-ში დაიხურება 4 შენობა (21 საწოლი რაც “სამცხე”-ს საოჯახო სასტუმროების ქსელის 60% წარმოადგენს).

სამი ოჯახი მისდევს მეცხვარეობას, თვითოეულ მათგანს ჰყავს დაახლოებით 1000 სული ცხვარი. მათ მფლობელობაშია არის საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული სამი სახლი (№ 4, 17 და 52). ყველა სახლი მიეკუთვნება III კატეგორიას. აღნიშნულ სახლებს ისინი იყენებენ როგორც მათ მიერ შექმნილი პროდუქციის საწყობს – ძირითადად ყველის და მატყლის. საძოვრები და ცხვრის ღამის სადგომი განთავსებულია სოფლიდან 200-300 მეტრის მოშორებით, შესანამისად პროექტი ზეგავლენას ვერ მოახდენს აღნიშნულ ბიზნესზე, არამედ მხოლოდ საწყობად გამოყენებულ შენობებზე. პროდუქციის რეალიზაციას ისინი ახორციელებენ რაიონულ ცენტრში.

მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ გაიცემა კომპენსაცია მათ მიერ დართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე შენობების (ამჟამად დართლოს ჩრდილოეთით არსებობს 9-10 ხელმისაწვდომი შენობა) ქირაობის მიზნით, რაც გამოყენებული იქნება საწყობად და საქონლის ღამის სადგომად და საშუალებას მისცემს მათ იმავე არეალში გააგრძელონ მეცხვარეობა. თვითოეულზე გაიცემა 1, 200 ლარის ოდენობის კომპენსაცია.



სამი ოჯახი მისდევს მეცხოველეობას, ორ მათგანს ჰყავს 15 ძროხა თვითოეულს, ხოლო ერთს – 30; მათ მფლობელობაშია არის საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული სამი სახლი (№ 2, 6 და 13). ყველა სახლი მიეკუთვნება III კატეგორიას. აღნიშნულ სახლებს ისინი იყენებენ როგორც მათ მიერ შექმნილი პროდუქციის საწყობს – ძირითადად ყველის. საძოვრები და საქონლის ღამის სადგომი განთავსებულია სოფლიდან 40-100 მეტრის მოშორებით, შესაბამისად პროექტი ზეგავლენას ვერ მოახდენს აღნიშნულ ბიზნესზე, არამედ მხოლოდ საწყობად გამოყენებულ შენობებზე. პროდუქციის რეალიზაციას ისინი ახორციელებენ რაიონულ ცენტრში.

მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ გაიცემა კომპენსაცია მათ მიერ დართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე შენობების (ამჟამად დართლოს ჩრდილოეთით არსებობს 9-10 ხელმისაწვდომი შენობა) ქირაობის მიზნით, რაც გამოყენებული იქნება საწყობად და საქონლის ღამის სადგომად და საშუალებას მისცემს მათ იმავე არეალში გააგრძელონ მეცხოველეობა. თვითოეულზე გაიცემა 1, 200 ლარის ოდენობის კომპენსაცია.

### **2.2.3. ზემოქმედება სახნავზე, ნათესებზე, ნარგავებზე**

დართლოში ექვსი ოჯახი ეწევა მეცხოველეობას, სწორედ ეს ოჯახები იყენებენ სოფლის მიმდებარე ტერიტორიას როგორც სათიბებს. პროექტის განხორციელების შედეგად აღნიშნულ სათიბებზე ზეგავლენა საერთოდ არ იქნება.

სოფლის ტერიტორიაზე, იქ სადას სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე საერთოდ არ არის არც ერთი მსხმოიარე ხე.

სოფელი წარმოადგენს ძალიან მჭიდრო დასახლებას, შესაბამისად ეზო სადაც შესაძლებელია სასოფლო სამეურნეო ქმედების განხორციელება ძალიან პატარა არის, თვითოეულ ოჯახზე მაქსიმუმ 100 მ<sup>2</sup>. აღნიშნულ ტერიტორიაზე შესაძლებელია მხოლოდ ბოსტნეულის მოყვანა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის

თვითოეულ ოჯახს გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ტერიტორია შესაბამისი მეურნეობით, რომელიც მდებარეობს საპროექტო ზონიდან მოშორებით. აღნიშნული ნაკვეთების დამუშავებას და მოვლას მფლობელები აგრძელებენ მთელი წლის განმავლობაში. მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიტოვება არ ხდება ოჯახის ერთი ან ორი წევრი რჩება მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ან თუ საშუალება აქვთ, ოჯახის წევრები ენაცვლებიან ერთმანეთს.

### **2.2.4. ზემოქმედება შენობებზე**

პროექტის გრძელვადიანი სოციალური ზეგავლენა სასარგებლოა, რადგან საცხოვრებელ შენობებში გაუმჯობესდება სანიტარული მდგომარეობა და რეაბილიტირებული შენობების გარეგნული მხარე და რეალური ღირებულება გაიზრდება. მოკლე-ვადიანი პერსპექტივით, გათვალისწინებულია პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირების კონკრეტული რაოდენობის დროებითი ფიზიკური და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა. ადგილმონაცვლეობა შეზღუდულია პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირების საცხოვრებელი სახლებიდან დროებით ადგილმონაცვლეობამდე.

კვლევამ გამოაშკარავა, რომ არსებული 73 შენობიდან (№72 საპროექტო ზონის გარეთ მდებარეობს) 72 დაექვემდებარება ფიზიკურ სამუშაოებს.

### **2.2.5. პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული მოწყვლადი ჯგუფები**

II და III კატეგორიის შენობებში მცხოვრები ზემოქმედების არეალში მოქცეული 44 ოჯახიდან, 2 ოჯახი განეკუთვნება მოწყვლად ჯგუფებს (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი და ინვალიდი). ისინი ცხოვრობენ III კატეგორიის შენობებში და მათ უფლება აქვთ, მიიღონ დამატებითი ერთჯერადი დახმარება, რომლის ოდენობაც ხუთ-წევრიანი ოჯახის ერთი თვის მინიმალური შემოსავლის ეკვივალენტი.



## 2.2.6. ზეგავლენა საჯარო საკუთრების რესურსებზე

გრძელვადიანი თვალსაზრისით, მოხდება საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის, მაგალითად წყალსადენის, კანალიზაციის და სხვ. მშენებლობა (არა ამ პროექტის ფარგლებში).

### 3. სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი

#### 3.1. ზოგადი

პროექტის სამართლებრივ და პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მიწის შესყიდვისა და განსახლების სახელმწიფო კანონმდებლობა და მსოფლიო ბანკის იძულებითი განსახლების პოლიტიკა (OP/BP 4.12). შესაბამისი კანონმდებლობისა და პოლიტიკის ანალიზის საფუძველზე მიღებული იქნა პროექტთან დაკავშირებული მიწის შესყიდვისა და განსახლების პრინციპები.

#### 3.2. სამართლებრივი სტრუქტურა

##### 3.2.1. საქართველოს კანონი და ნორმები მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებით

საქართველოში ქვემოთმოყვანილი საკანონმდებლო აქტები არეგულირებს კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრების უფლების მოპოვებას შესაბამისი საზოგადოებრივი საჭიროების საფუძველზე, რაც დაკავშირებულია სამშენებლო სამუშაოებთან:

- (i) საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო, 1995
- (ii) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26 ივნისი, 1997
- (iii) საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 2007
- (iv) საქართველოს კანონი სანოტარო აქტების შესახებ, 2009 წლის 4 დეკემბერი
- (v) საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის შესახებ, 8 ივლისი, 2005
- (vi) საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრების უფლების შესახებ 22 მარტი, 1996.
- (vii) საქართველოს კანონი ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში (სარგებლობაში) მყოფი მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების აღიარების შესახებ; 2007;
- (viii) საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ (№820-II) 19 დეკემბერი 2008;
- (ix) საქართველოს კანონი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ექსპროპრიაციის წესების შესახებ, 23 ივლისი, 1999
- (x) საქართველოს სამოქალაქო საპროცედურო კოდექსი, 14 ნოემბერი, 1997.

მოქმედი კანონები ითვალისწინებს, რომ დაკარგული აქტივების, მიწის, ნაგებობების, ხეებისა და ნათესების ჩათვლით, კომპენსაცია უნდა ეფუძნებოდეს არსებულ საბაზრო ღირებულებას, ამორტიზაციის გარეშე. საერთო ჯამში, ზემოხსენებული კანონები/ნორმების მიხედვით ჩანაცვლების ღირებულების კომპენსაცია საბაზრო ღირებულების საფუძველზე რაციონალურია და სამართლებრივად მისაღებია. კანონით ასევე განსაზღვრულია კომპენსაციაზე უფლებამოსილი ზარალის ტიპები და მითითებულია, რომ კომპენსაციის გაცემა ხდება როგორც ფიზიკური აქტივების, ისე შემოსავლის დანაკარგისას. საბოლოოდ, ეს კანონები ძლიერ ამახვილებენ ყურადღებას კონსულტაციასა და შეტყობინებაზე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფმა მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღოს ამ პროცესში. წმინდა დანაკარგის

დასაფარად კომპენსირებული იქნება შემოსავლის დაკარგვა მოსავლის დაკარგვის გამო და ბიზნესის დახურვა. ზემოთმოყვანილი კანონები და ნორმები საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას საკუთრების უფლების იურიდიული გამოყენების შემდეგი მექანიზმები:

- (i) მშენებლობისათვის მიჩენილი მიწის ზოლის მოპოვება ექსპროპრიაციის გარეშე, სათანადო კომპენსაციის გადახდის მეშვეობით (მოლაპარაკებების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) საქმიანობის დაწყებამდე.
- (ii) ექსპროპრიაცია, რომელიც მიწაზე და/ან სხვა უძრავ ქონებაზე პერმანენტული უფლების მოპოვების საშუალებას იძლევა 'საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კერძო საკუთრების არანებაყოფლობითი გასხვისების შესახებ კანონის, ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სათანადო კომპენსაციის გადახდის მეშვეობით;

უპირველეს ყოვლისა, ზემოქმედების ქვეშ მყოფ ინდივიდუალურ პირებთან მოლაპარაკებების გზით უნდა განხორციელდეს მცდელობები კერძო მიწების შესასყიდად. მოლაპარაკების ჩაშლის შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას 'საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კერძო საკუთრების არანებაყოფლობითი გასხვისების უფლება' და დაიწყოს ექსპროპრიაციის პროცესი. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პრეზიდენტი გასცემს ექსპროპრიაციის განკარგულებას შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე. შესაბამისი რეგიონული სასამართლო შეაფასებს პრეზიდენტის ბრძანებულებას, განსაზღვრავს საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევას და მისცემს ექსპროპრიაციის სათანადო ორგანოს მიწის მოპოვების უფლებას. სასამართლო ასევე დანიშნავს მესამე მხარეს დაკარგული აქტივების საბაზრო ფასის დასადგენად და იმის განსაზღვრად, თუ რა კომპენსაცია უნდა გაიცეს შესაბამის მიწის მესაკუთრებზე იქ მდებარე აქტივების ღირებულების გათვალისწინებით.

### **3.2.2. მსოფლიო ბანკის პოლიტიკა იძულებით განსახლებასთან დაკავშირებით**

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი აუცილებელია შეესაბამებოდეს მსოფლიო ბანკის სოციალური და გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომებს.

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტები თავის მხრივ აუცილებელია შესაბამისობაში იყოს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების ზომებთან და სამოქმედო პრინციპებთან. მსოფლიო ბანკის BP/OP 4.12. იძულებით განსახლება წარმოადგენს უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დონისძიებას, რაც წამყვან როლს ასრულებს მიწის შეძენისა და აღნიშნულთან დაკავშირებულ განსახლების/კომპენსაციის საკითხებში, პროექტის განხორციელების პროცესში. მასპინძელი ქვეყნის ვალდებულების პრინციპების შესაბამისად, საქართველო ვალდებულია განახორციელოს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტები, მსოფლიო ბანკის BP/OP 4.12-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაშია მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკის ძირითად დებულებებთან, თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება. მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკა ადამიანებისთვის ექსპროპრირებული აქტივებისთვის კომპენსაციების გაცემაზე მეტად, მიმართულია შემოსავლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე (ან მინიმუმ აღდგენაზე). შემოსავლების და საცხოვრებელი პირობების აღნიშნული გაუმჯობესება აფართოებს პოლიტიკის მიზანს, რაც ითვალისწინებს შემოსავლის წყაროების აღდგენას და იმ ადამიანების გადამზადებას, რომლებიც განსახლების შემდეგ, ვერ აგრძელებენ ძველი შემოსავლების მისაღებად განხორციელებულ საქმიანობას. ყურადღების გამახვილება შემოსავლებსა და ცხოვრების დონეზე, ექსპროპრირებულ საკუთრებაზე არსებითი

მნიშვნელობის მინიჭებისაგან განსხვავებით, აფართოებს პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირების რაოდენობასა და სფეროს. აღნიშნული სერიოზული სახის ზეგავლენა იწვევს იმ საკითხების გათვალისწინებას განსახლებაში, რომელიც მოითხოვს პასუხისმგებლობის ყურადღებით საზღვას, რისკის მართვის შემუშავებას და ზუსტი და გარკვეული განსახლების დაგეგმვას.

მსოფლიო ბანკის პოლიტიკა საქართველოს კანონმდებლობას/რეგულაციას ავსებს კონკრეტული დამატებითი მოთხოვნებით, რაც სავალდებულოა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებთან მიმართებაში; კერძოდ, შესაბამისი დაგეგმვის/მართვის საშუალებები, როგორცაა მაგალითად **განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი** და **განსახლების სამოქმედო გეგმა** საჭიროებისამებრ, აუცილებელია შემუშავდეს პროექტის შეფასების განხორციელებამდე.

**განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი.** განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი საჭიროა მომზადდეს იმ შემთხვევაში, თუ განსახლების დონე და ლოკაცია არ არის ცნობილი შეფასების ეტაპზე, რადგან პროექტი შედგება სხვადასხვა კომპონენტებისაგან, რაც ტიპურია ფინანსური შუამავლების მქონე, ან სხვადასხვაგვარი ქვე-პროექტების შემთხვევაში. პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს განსახლების მიზნებსა და პრინციპებს, საორგანიზაციო ღონისძიებებს და დაფინანსების მექანიზმებს, განსახლების ნებისმიერი ოპერაციასთან მიმართებაში, რომლის განხორციელება საჭირო გახდება პროექტის განხორციელების პროცესში. ჩარჩო დოკუმენტი ასევე განახორციელებს პროექტირების, განხორციელების ინსტიტუციური შესაძლებლობის შეფასებას და ზედამხედველობას გაუწევს განსახლების ოპერაციებს.

**განსახლების სამოქმედო გეგმა.** ყველა პროექტი, რომელიც იწვევს იძულებით განსახლებას, საჭიროებს განსახლების სამოქმედო გეგმას. “განსახლების გეგმის დეტალების მიზნები და დონე იცვლება განსახლების მნიშვნელობის და სირთულის შესაბამისად” (OP 4.12, დანართი “ა”, პარაგრაფი 2). განსახლების სამოქმედო გეგმა სპეციფიკურია ლოკაციის შესაბამისად და სრული სამოქმედო გეგმა მოიცავს წინასწარ კვლევებს (სოციო-ეკონომიკური შეფასება, სოციოლოგიური კვლევა, აღწერა, ზემოქმედების შეფასება და კონსულტაცია პროექტის არეალში მოქცეულ პირებთან), საკომპენსაციო/შემამსუბუქებელი ღონისძიებები პროექტის არეალში მოქცეულ თითოეულ პირისთვის/ოჯახისათვის და განხორციელების დეტალური გეგმა, პასუხისმგებელი მხარეების და გრაფიკის მითითებით.

მსოფლიო ბანკის პოლიტიკა იძულებით განსახლებაზე, OP/BP 4.12-ის თანახმად, ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- იძულებითი განსახლება საჭიროა თავიდან იქნას აცილებული, ან მინიმუმამდე დაყვანილი;
- საკომპენსაციო/სარეაბილიტაციო დებულებები შესაძლებლობას აძლევს პროექტის არეალში მოქცეულ პირებს წინა-საპროექტო შემოსავლების და საცხოვრებელი სტანდარტების გაუმჯობესების, ან სულ მცირე, აღდგენის შესაძლებლობას;
- პროექტის არეალში მოქცეულ პირებს უნდა მიეწოდოთ სრული ინფორმაცია და გაეწიოთ კონსულტაცია მიწის შექენის და განსახლების საკომპენსაციო შესაძლებლობების შესახებ;
- პროექტის არეალში მოქცეული პირების სოციო-კულტურულ დაწესებულებებს საჭიროა ხელი შეეწყოს/გამოყენებულ იქნას მაქსიმალურად;

- კომპენსაცია პროექტის არეალში მოქცეული პირების მიმართ გაიცემა ჩანაცვლების ღირებულებით, ცვეთის, ან რაიმე სხვა მიზნისთვის განსაზღვრული ღირებულების გამოქვითვის გარეშე;
- დახმარების მიღების უფლების არ არსებობამ არ უნდა შეუშალოს ხელი კომპენსაციას, ან დახმარების ალტერნატიულ ფორმებს, რაც საჭირო იქნება პოლიტიკის მიზნების მისაღწევად;
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საოჯახო მეურნეობებს, რომელთაც ხელმძღვანელობენ ქალები და სხვა მოწყვლად ჯგუფებს;
- მიწის შეძენა და განსახლება გამოისახება და შესრუდება პროექტის ნაწილის სახით და კომპენსაციის მთლიანი ხარჯები შევა საპროექტო ხარჯებსა და სარგებელში;
- საკომპენსაციო და განსახლების სუბსუდიები მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი გასხვისების ზოლის/მიწის მოსწორების დასუფთავებამდე და დანგრევამდე.

**მიწის შეძენასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის შედარება მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკასთან**

ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაშია მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკის ძირითად დებულებებთან, თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე განსხვავება. აღნიშნული განსხვავებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობით/რეგულაციით, ყურადღება გამახვილებულია კანონიერი საკუთრების უფლების განსაზღვრასა და იმ ფაქტზე, თუ როგორ უნდა მოხდეს საკუთრების შეძენა საზოგადოებრივი მიზნებისათვის და კომპენსაციის გაცემა, მაშინ როდესაც მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ფოკუსირებულია როგორც სამართლებრივად საკუთრებაში არსებული აქტივების კომპენსაციაზე, ასევე ზოგადად, პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირების და ოჯახების საარსებო წყაროს ზოგად რეაბილიტაციაზე. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს რაიმე სახის სპეციფიკურ დაგეგმარების/განხორციელების საშუალებას, როგორცაა განსახლების პოლიტიკის ჩარხო დოკუმენტი და განსახლების სამოქმედო გეგმა, რაც დაფუძნებულია ვრცელ საზოგადოებრივ კონსულტაციებზე. საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკას შორის არსებული განსხვავებები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

**ცხრილი 5. საქართველოს კანონების/მიწის შეძენის და განსახლების და მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკის შედარება**

საქართველოს კანონები და რეგულაციები	მსოფლიო ბანკის იძულებით განსახლების პოლიტიკა
მიწის კომპენსაციის გაცემა მხოლოდ უფლებამოსილი მიწის მფლობელებისთვის	დახმარების მიღების უფლების არ არსებობამ არ უნდა შეუშალოს ხელი კომპენსაციის გაცემას, ან დახმარების ალტერნატიულ ფორმებს. მიწის მფლობელებს, რომელთაც არ აქვთ დახმარების მიღების უფლება, შეუძლიათ მიიღონ დახმარების ალტერნატიული ფორმები ოფიციალური კომპენსაციის ნაცვლად.
პროექტით ზარალის/ნგრევებისთვის	პროექტით ზარალის/ნგრევებისთვის, გამოწვეული კომპენსაცია

გაიცემა მხოლოდ რეგისტრირებული სახლების/ნაგებობების შემთხვევაში	გაიცემა ყველა დაზარალებული სახლების/ნაგებობების შემთხვევაში
მოსავლის დანაკარგის კომპენსაცია გაიცემა მხოლოდ რეგისტრირებული მიწის მფლობელების მიმართ	მოსავლის დანაკარგის კომპენსაცია გაიცემა მიწის მფლობელების და მოიჯარეების მიმართ, არ აქვს მნიშვნელობა ისინი რეგისტრირებულნი არიან, თუ არა
მიწის შეფასება ეფუძნება ჩანაცვლების ღირებულებას: (i) არსებული საბაზრო ფასი, სადაც არსებობს აქტიური მიწის ბაზრები; (ii) იდენტური მიწის ნაკვეთის რეპროდუქციის ფასი, სადაც არ არის აქტიური მიწის ბაზრები	მიწის შეფასება დაფუძნებულია ჩანაცვლების ღირებულებაზე
პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულმა პირმა საჩივრებით უნდა მიმართოს სასამართლოს	საჩივრების მოგვარების ადეკვატური მექანიზმი, რომელიც შედგება კონკრეტული საქმეების განხილვისთვის განსაზღვრული როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური ადგილისაგან, უნდა შემუშავდეს და ხელმისაწვდომი იყოს პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ყველა პირისთვის
საჯარო კონსულტაციის ორგანიზების ოფიციალური საჭიროება, რაც ითვალისწინებს პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირის ინფორმირებას პროექტის ხასიათის და მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, არ არსებობს	პირობებთან, ზარალის ღირებულების აქტივებთან, უფლებამოსილებასთან და კომპენსაციასთან/ფინანსური დახმარების რაოდენობასთან დაკავშირებული ინფორმაცია პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ პირს უნდა ეცნობოს შეფასების დაწყებამდე
შემოსავლის/საარსებო წყაროს რეაბილიტაციის, დაზარალებული, ან დაუცველი პირების ფულადი დახმარება, ან განსახლების ხარჯების უზრუნველყოფა გათვალისწინებული არ არის	კომპენსაცია გაიცემა შემოსავლის დაკარგვისთვის, შეწუხებისთვის და ადგილმონაცვლეობის დროს პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირების ხარჯებისათვის

### 3.2.3. განსახლების პოლიტიკის ვალდებულებები პროექტისათვის

ზემოაღნიშნული განსხვავებების გათვალისწინებით „მსოფლიო ბანკის“ პოლიტიკა ავსებს საქართველოს კანონმდებლობას/მარეგულირებელ წესებს იმ დამატებითი მოთხოვნებით, რომელიც დაკავშირებულია (i) პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირის/ოჯახის ეკონომიკურ რეაბილიტაციასთან (მათ შორის რომელთაც არ გააჩნიათ სამართლებრივი/ოფიციალური უფლებები პროექტის მიერ შექმნილ აქტივებზე); (ii) ბიზნესის ან შემოსავლების დანაკარგის შემთხვევაში სპეციალური კომპენსაციის გაცემასთან, და (iii) სპეციალურ დახმარებებთან, რომელიც მოიცავს პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირის დანახარჯებს განსახლების პროცესის დროს, ან ითვალისწინებს იმ პირთა, ან დაუცველ პირების სპეციალურ საჭიროებებს, რომელზეც დიდი ზემოქმედება მოახდინა პროექტმა. ამიტომ რეგისტრირებული განვითარების პროექტის განხორციელებისას მუნიციპალური განვითარების ფონდი უზრუნველყოფს შემდეგს:

- 1) თითოეული ქვეპროექტისათვის, რომელიც მოიცავს კერძო მფლობელობაში არსებული მიწის შექმნას, მუდმივი ან დროებითი შემოსავლის დაკარგვას, ან სხვა ზემოქმედებას, რომელიც გამოიწვევს OP 4.12-ის ამოქმედებას, შემუშავებულ იქნება *განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP)* განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტით (RPF) განსაზღვრული პოლიტიკისა და პროცედურების, „მსოფლიო ბანკის“ OP 4.12 -ის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 2) მუნიციპალიტეტები, რომლებიც მუნიციპალური განვითარების ფონდს შესთავაზებენ ქვეპროექტებს, პასუხისმგებელი იქნებიან შესაბამისი *განსახლების სამოქმედო გეგმის* შემუშავებაზე, ხოლო ფონდი მათ ტექნიკურ დახმარებას გაუწევს.
- 3) დაუშვებელია იმ მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების დაწყება, რომლის შედეგად გამოწვეული ზემოქმედება განაპირობებს OP 4.12 –ის ამოქმედებას იმ დრომდე, სანამ შემუშავებულ იქნება *განსახლების სამოქმედო გეგმა*, რომელსაც „მსოფლიო ბანკი“ OP 4.12 –ის ადეკვატურად მიიჩნევს.
- 4) პროექტის ფარგლებში არ არის ნებადართული იმგვარი კონსტრუქციული ნგრევა, რაც გამოიწვევს ოჯახების ან ბიზნესების ფიზიკურ ადგილმონაცვლეობას.
- 5) აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული კერძო სექტორის ინვესტიციები არ გამოიწვევს იძულებით განსახლებას ან მიწაზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, არაოფიციალური გამოყენების ჩათვლით.
- 6) პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ყველა პირი მიიღებს კომპენსაციას, ან სხვადასხვა სახის მხარდაჭერას მიწის რეგისტრაციის და მფლობელობის სტატუსის მიუხედავად საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „მსოფლიო ბანკის“ უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად.
- 7) პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირი მიიღებს ინფორმაციას თავისი უფლებებისა და არსებული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ;
- 8) პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ პირთან გაიმართება კონსულტაცია, შესთავაზებენ არჩევანს და ტექნიკურად და ეკონომიკურად შესაძლებელ განსახლების ვარიანტებს.
- 9) პირს, რომელზეც ზემოქმედებას ახდენს პროექტი, შესთავაზებენ ეფექტურ კომპენსაციას აქტივების დაკარგვის სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით.
- 10) პირს, რომელზეც ზემოქმედებას ახდენს პროექტი, შესთავაზებენ დამატებით დახმარებას იმ შემთხვევაში, თუ მინეულია, რომ მასზე დიდ ზემოქმედებას ახდენს პროექტი, რათა დაეხმარონ მათ გარდამავალ პერიოდში საცხოვრებელი საშუალებების აღდგენაში წინასწარ შეფასებული გონივრული დროის პერიოდში, რომელიც სავარაუდოდ საჭირო იქნება მათი საცხოვრებელი საშუალებებისა და ცხოვრების დონის აღსადგენად.
- 11) პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ პირს აღწერილი საკომპენსაციო ღონისძიებების გარდა შესთავაზებენ განვითარებაში დახმარებას, როგორცაა მიწის მომზადება, კრედიტები, ტრენინგები, ან დასაქმების შესაძლებლობები.
- 12) განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ჯგუფების - ბავშვების, ქალების, მოხუცების, სიღარიბის დონის ქვემოთ მცხოვრებთა, უნარშეზღუდული პირების, ლტოლვილების და სხვათა - საჭიროებებს.
- 13) შემუშავებულ იქნება საჩივრების განხილვის სამართლიანი და ხელმისაწვდომი მექანიზმი.
- 14) საკომპენსაციო ღონისძიებები დასრულდება იმ კონკრეტული სამშენებლო საქმიანობების დაწყებამდე, რომლებიც განაპირობებენ OP 4.12-ის ამოქმედებას.

### 3.2.4. კომპენსაციის მიღების კრიტერიუმები და უფლებამოსილება

პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირები და ბიზნესები, რომელთაც აქვთ კომპენსაციის, ან სულ მცირე, პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო დახმარების მიღების უფლება, არიან:

- 1) III კატეგორიის შენობების მობინადრეები, რომლებმაც დროებით უნდა შეიცვალონ საცხოვრებელი და II კატეგორიის შენობების მობინადრეები, რომლებსაც შესთავაზებენ დროებითი ადგილმონაცვლეობის ვარიანტს;
- 2) იმ ბიზნესების მფლობელები, რომლებიც განთავსებულები არიან საპროექტო ტერიტორიაზე;
- 3) შინაური საქონლის მფლობელები, რომელთაც მოეთხოვებათ ალტერნატიული შენობების დაქირავება პროექტის განხორციელების პროცესში.

კომპენსაციის მიღების უფლება შეიზღუდება დადგენილი ვადით, რომელიც ამ ქვეპროექტისათვის განისაზღვრება 2012 წლის 15 მაისით. პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირები, რომლებიც დასახლებიან დაზარალებულ ტერიტორიებზე განსაზღვრული ვადის შემდეგ, არ მიიღებენ კომპენსაციას. დამატებით კომპენსაციას არ მიიღებენ ასევე ის პირები, რომლებიც მიწის ან ნაგებობების კეთილმოწყობას დაიწყებენ ადგილობრივად გამოცხადებული დადგენილი ვადის შემდეგ. თუმცა, ისინი პროექტის დაწყებამდე საკმარისი დროით ადრე მიიღებენ შეტყობინებას.

### **საკომპენსაციო ერთეულების ღირებულების შეფასება ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობებისათვის**

სოფ. დართლოში მდებარე 44 საცხოვრებელი შენობიდან, რომელიც ექვემდებარება ფიზიკური სამუშაოების განხორციელებას მოცემული პროექტის ფარგლებში, 1 შენობა განეკუთვნება I კატეგორიას, 2 შენობა II კატეგორიას და 42 შენობა – III კატეგორიას.

44 შენობაში, 44 ოჯახი ცხოვრობს ზაფხულში 4 თვის განმავლობაში.

შენობების კატეგორიზაციის მიხედვით, აღნიშნული 44 ოჯახი გადანაწილდა შემდეგი სახით:

- I კატეგორიის 1 შენობაში ბინადრობს– 1 ოჯახი (აღნიშნული ოჯახს ასევე დაკავებული აქვს II კატეგორიის ერთი შენობა);
- II კატეგორიის 1 შენობაში ბინადრობს– 1 ოჯახი;
- III კატეგორიის 42 შენობაში ბინადრობს– 43 ოჯახი (იმ ოჯახის ჩათვლით, რომელსაც ასევე დაკავებული აქვს I შენობა).

III კატეგორიის შენობებში მობინადრე 43 ოჯახი ექვემდებარება სასწრაფო დროებით ადგილმონაცვლეობას.

რაც შეეხება II კატეგორიის შენობებში მობინადრე ოჯახებს (1 ოჯახი), მათი ადგილმონაცვლეობა იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ეს საჭირო იქნება მშენებლობის უსაფრთხოების სტანდარტებთან შესატყვისობისათვის, ან თუ ამ ოჯახების წევრებს გაუჩნდებათ დროებითი ადგილმონაცვლეობის სურვილი.

II და III კატეგორიის შენობებში მცხოვრები ოჯახების დროებითი ადგილმონაცვლეობის ხანგრძლივობა განისაზღვრა 4 თვით.

### **ასანაზღაურებელი თანხის გამოთვლის მეთოდოლოგია**

პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული თითოეული ოჯახი, რომელიც ექვემდებარება დართლოდან დროებით ადგილმონაცვლეობას, კომპენსაციის სახით ქირისთვის მიიღებს 800 ლარს - სულ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი 44 ოჯახი.

აპრილსა და მაისში ჩატარებული გამოკითხვების დროს ვერ მოხერხდა თითოეული ოჯახის სულადობის დადგენა შემდეგი მიზეზების გამო:

1. დართლოში არსებულ ყველა შენობას მოსახლეობა იყენებს დასასვენებლად სეზონზე (4-4-5 თვის განმავლობაში), შესაბამისად, სახლის მფლობელის ოჯახი შესაძლოა შედგებოდეს 5 წევრისგან, რომელთაგან სამი შესაძლოა ავიდეს დართლოში ერთ წელიწადს და დანარჩენი 4 – მეორე წელს;

- შესაძლოა ბინის მფლობელი ცხოვრობდეს მარტო, თუმცა დართლოში არსებულ აღნიშნულ ბინაში ზაფხულში შეიძლება ავიდეს 10 ადამიანი, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პიროვნების შეიღები და შეილიშეიღები ცხოვრობენ ცალკე, მაგრამ ისვენებენ ერთად;
- ნათესაური ტრადიციებიდან გამომდინარე, საკმაოდ ხშირია, როდესაც ადამიანები ახლო ნათესაებთან მიდიან დასასვენებლად, ძირითადად მთელ სეზონზე.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თითოეულ სახლში სეზონზე ისვენებს დაახლოებით 5-6 ადამიანი. გამომდინარე იქიდან, რომ ვერ მოხერხდა ოჯახების შემადგენლობის დადგენა, კონსულტაციები გაიმართა მოსახლეობასთან, რომლის საფუძველზე გადაწყდა, რომ ყველა ოჯახმა მიიღოს თანაბარი კომპენსაცია, ზაფხულში დასასვენებლად შესაბამისი სახლის დაქირავებისთვის.

ამასთან, ტრანსპორტირების ხარჯებისთვის თითოეული ოჯახი მიიღებს 400 ლარიან კომპენსაციას (ნაღდი ფულით) (დართლოში არ არის საკმარისი სივრცე ბარგის შენახვისთვის). თითოეული ოჯახისთვის სატრანსპორტო ხარჯების მოცულობა 400 ლარის ოდენობით განისაზღვრა შემდეგი ფაქტორების მიხედვით:

- დართლოში არსებული სახლების ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 90% მოქცეულია საპროექტო ზონაში. პროექტის ზონის ფარგლებს გარეთ, საპროექტო ზონის ჩრდილოეთით, განთავსებულია 9-10 შენობა, მაგრამ პროექტის განხორციელება არ იქონიებს რაიმე ზემოქმედებას მათზე. აღნიშნულ შენობებს დაქირავებენ ოჯახები (6 ოჯახი), რომელნიც მესაქონლეობით არიან დაკავებული;
- პროექტის განხორციელება დიდ ზემოქმედებას იქონიებს ყველა იმ შენობაზე, რომელიც განთავსებულია საპროექტო ზონაში (2 შენობის გარდა), შესაბამისად აუცილებელია აღნიშნულ შენობებში არსებული ავეჯის გადატანა;
- მაღალბორტიანი სატვირთო ავტომობილის დაქირავება (ავეჯის გადასატანად) რაიონული ცენტრიდან დართლომდე ღირს 1000-1200 ლარი (ერთი მიმართულებით).

გამოკვლევამ აჩვენა, რომ ერთ მაღალბორტიან სატვირთო ავტომობილს შეუძლია გადაზიდოს 5-6 ოჯახის ავეჯი, რისთვისაც განისაზღვრა 400 ლარიანი კომპენსაცია (ორივე მიმართულებით) თითოეულ ოჯახზე. ოჯახი, რომლის ადგილმონაცვლეობა დართლოში განხორციელდება III კატეგორიის შენობიდან I კატეგორიის შენობაში, ასევე მიიღებს კომპენსაციას 400 ლარის ოდენობით ბარგის გადაზიდვისთვის.

### **ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესები და შემოსავლების დაკარგვა**

საპროექტო ზონაში განთავსებულია ორი სასტუმრო: “დართლო” და “სამცხე”. სასტუმრო “დართლო” განთავსებულია ერთ შენობაში (12 ადგილი), რომელიც შედგება სამი ბლოკისგან, მაშინ როდესაც სასტუმრო “სამცხე” შედგება 6 შენობისგან (35 ადგილი). 2-ე ცხრილში მოცემულია სასტუმროს შენობები კატეგორიების მიხედვით და ადგილების რაოდენობა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 5 შენობა განეკუთვნება III კატეგორიას და აღნიშნულ შენობებში განთავსებული ყველა ბიზნესი შეწყვეტს საქმიანობას ერთი სეზონის განმავლობაში. ამგვარად, სასტუმრო “დართლო” მთლიანად დაიხურება. სასტუმრო “სამცხეს” 4 შენობა ასევე დაიხურება (21 ადგილი, რაც სასტუმრო “სამცხეს” ქსელის 60% -ს შეადგენს).

სასტუმროს მენეჯმენტთან მოლაპარაკებების და არსებული ფინანსური ანგარიშების



შესწავლის საფუძველზე, კომპენსაციის მოცულობა ერთი ადგილისთვის თვეში, ბიზნესის შეწყვეტის შემთხვევაში, განისაზღვრა საშუალოდ 300 ლარის ოდენობით/თვეში (აღნიშნული რაოდენობა მოიცავს პერსონალის ხელფასებსაც).

შესაბამისად, სასტუმრო “დართლო” კომპენსაციას მიიღებს ერთი მთლიანი სეზონისთვის, ე.ი. ბიზნესის შეწყვეტისთვის 4 თვის განმავლობაში, შემდეგი სახით:

12 ადგილი X 300 ლარზე X 4 თვეზე = 14,400 ლარს

სასტუმროთა ქსელი “სამცხე” ექვემდებარება ბიზნესის 60%-ის შეწყვეტას, რაც შეადგენს 21 ადგილს. აღნიშნულის საკომპენსაციო ღირებულებაა:

21 ადგილი X 300 ლარზე X 4 თვეზე = 25,200 ლარს.

სასტუმრო “სამცხეს” მენეჯმენტთან ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე გადაწყდა, რომ სასტუმროს I და II კატეგორიის ორი შენობა გააგრძელებს მუშაობას ტურისტულ სეზონზე. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის განხორციელების პროცესში, ტურისტების ნაკადი დართლოში სავარაუდოდ შემცირდება, გადაწყდა, რომ დანარჩენი ადგილებისთვის კომპენსაცია არ გაიცეს. ზემოთ აღნიშნულ ორ სასტუმროში არსებული ადგილების რაოდენობა, რომელიც გააგრძელებს მუშაობას, შეადგენს 14 ადგილს, რაც დართლოში მოქმედი ყველა სასტუმროს ადგილების 29%-ს შეადგენს. პროექტის განხორციელების პროცესში, დართლოში არსებული ყველა სასტუმროდან, იმუშავენ მხოლოდ ზემოთ ხსენებული ორი შენობა, ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული ნაკადი შესაძლოა შემცირდეს 70%-ით, სასტუმროს შემოსავალი საერთოდ არ შემცირდება.

მესაქონლეობით დაკავებული 6 ოჯახიდან თითოეული ოჯახი მიიღებს 1,200 ლარიან კომპენსაციას ალტერნატიული შენობების დაქირავებისთვის (დართლოს ჩრდილოეთით ხელმისაწვდომია 9-10 შენობა).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესების შემადგენლობა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესები და შემოსავალი		
ბიზნესის/შემოსავლის ტიპი	კომპენსაციის დაანგარიშება	მთლიანი საკომპენსაციო ღირებულება
2 სასტუმრო	300 ლარი (ერთი ადგილისთვის) X 4 თვეზე = 1,200 ლარს ერთი ადგილისთვის	39,600.00 (33 ადგილი)
ესაქონლეების 6 ოჯახი	1,200 ლარი (ერთ მესაქონლეზე) შენახვის და საცხოვრებელი ფართის ქირაობის ღირებულება 4 თვეზე	7,200.00 ლარი
შუალედური ჯამი		46,800.00 ლარი

**დახმარება მოწყვლადი მოსახლეობისათვის**

II და III კატეგორიის შენობებში მცხოვრები 44 ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახიდან, 2 განეკუთვნება მოწყვლადი ოჯახების ჯგუფს (ერთ-ერთი მათგანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არის, მეორე - ინვალიდია). ორივე ცხოვრობს III კატეგორიის შენობებში და უფლება აქვთ მიიღონ დამატებითი ერთჯერადი დახმარება 5-სულიანი ოჯახისთვის განსაზღვრული მინიმალური საარსებო შემოსავლის ეკვივალენტი მოცულობით (313 ლარი).

### კომპენსაციის მიღების უფლებამოსილების მატრიცული ცხრილი

პროექტის ფარგლებში დავალებები განხორციელდება კომპენსაციის მიღების უფლებამოსილების სტრუქტურის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობისა და ნორმების და მსოფლიო ბანკის OP 4.12 შესაბამისად. ქვემოთმოყვანილ 3-ე ცხრილში მოცემულია უფლებამოსილების მატრიცა.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახები: ზემოქმედების ქვეშ მყოფ შენობებში მცხოვრები პირები (მფლობელები და დამქირავებლები)				
შენობის კატეგორია	ოჯახი სულადობა	ოჯახების რაოდენობა	კომპენსაციის გამონაკარიშება	მთლიანი საკომპენსაციო ღირებულება
<b>I კატეგორია (პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები - 0):</b> ადგილმონაცვლეობა საჭირო არ არის. სამუშაოები არ იწვევს მაცხოვრებელთა საცხოვრებელი პირობების მნიშვნელოვან შეზღუდვას, დისკომფორტს, ან სანიტარული სტანდარტების დარღვევას. მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.		1 (არ განიხილება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ოჯახად)	არა	0 ლარი
<b>II კატეგორია (პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახი - 1):</b>  შესაძლოა საჭირო გახდეს მაცხოვრებელთა დროებით ადგილმონაცვლეობა. სამუშაოები გარკვეულწილად გამოიწვევს მაცხოვრებელთა საცხოვრებელ პირობების შეზღუდვას. კონკრეტულ შემთხვევებში მოსალოდნელია სანიტარული სტანდარტების დარღვევა. შესაძლოა გარკვეული ზემოქმედება მოსახლეობის უსაფრთხოებაზე		1	ერთჯერადო კომპენსაცია: 800 ლარი (ქირის ღირებულება 200 ლარის ოდენობით X 4 თვეზე) & 400 ლარზე (ადგილმონაცვლეობის ღირებულება) = 1200 ლარი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თითოეული ოჯახისთვის	1,200.00 ლარი
<b>III კატეგორია (პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი 43 ოჯახი):</b>  საჭიროა მაცხოვრებელთა დროებითი ადგილმონაცვლეობა. სამუშაოები მნიშვნელოვნად ზღუდავს მცხოვრებთა საცხოვრებელ პირობებს და არღვევს სანიტარულ სტანდარტებს. მაცხოვრებელთა უსაფრთხოება შესაძლოა არ იყოს დაცული.		43	ერთჯერადო კომპენსაცია: 800 ლარი (ქირის ღირებულება 200 ლარის ოდენობით X 4 თვეზე) & 400 ლარზე (ადგილმონაცვლეობის ღირებულება) = 1200 ლარი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თითოეული ოჯახისთვის	51,600.00 ლარი

დახმარება მოწყველადი მოსახლეობისთვის		2 (პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი III კატეგორიის 43 ოჯახიდან)	უფლება აქვთ მიიღონ დამატებითი ერთჯერადი დახმარება 5-სულიანი ოჯახისათვის განსაზღვრული მინიმალური საარსებო შემოსავლის ეკვივალენტი მოცულობით (313 ლარი).	626.00 ლარი
შუალედური ჯამი		44	ერთჯერადი კომპენსაცია	53,426.00 ლარი
<b>ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესები და შემოსავალი: საპროექტო ზონაში მოქმედი ბიზნესების მფლობელები და ოჯახები, რომელთა შემოსავალზე ზემოქმედება იქონია პროექტმა</b>				
<b>ბიზნესის ან შემოსავლის ტიპი</b>		<b>პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესების/ოჯახების რაოდენობა</b>	<b>კომპენსაცია</b>	<b>მთლიანი საკომპენსაციო ღირებულება</b>
სასტუმროები		2	300 ლარი (ერთი ადგილისთვის) X 4 თვეზე = 1,200 ლარი ერთი ადგილისთვის	39,600.00 ლარი
მეცხეარეობა		3	1,200 ლარი (ერთი ოჯახისთვის) ალტერნატიული შენობების ქირის ღირებულებისთვის	3,600.00 ლარი
მესაქონლეობა		3	1,200 ლარი (ერთი ოჯახისთვის) ალტერნატიული შენობების ქირის ღირებულებისთვის	3,600.00 ლარი
<b>შუალედური ჯამი</b>		<b>8</b>	<b>ერთჯერადი კომპენსაცია</b>	<b>46,800.00 ლარი</b>
<b>მთლიანი ჯამი</b>				
მთლიანი ჯამი				<b>100,226.00 ლარი</b>

## **4. ინსტიტუციონალური სტრუქტურა**

### **4.1. შესავალი**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ფონდი) წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ ორგანოს საქართველოს მთავრობის მხრიდან. მსოფლიო ბანკი დააფინანსებს სამშენებლო სამუშაოებს და სახედამხედველო სამუშაოების პროექტს. მგფ პასუხისმგებელია მშენებლობასა და სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული მობინადრეების განსახლებისათვის კომპენსაციების გაცემაზე. მგფ-ს წამყვანი პასუხისმგებლობა გააჩნია სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებასა და შემოკლებული RAP-ს განხორციელებაზე, კონსულტანტების დახმარებით.

პროექტის პროექტირებაში, მშენებლობასა და ექსპლოატაციაში მგფ-ს დახმარებას უწევენ რიგი სხვა სამთავრობო დეპარტამენტები და კერძო ორგანიზაციები.

#### **4.1.1. სოფ. დართლო**

სოფ. დართლო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ეხმარება რა მგფ-ს დ –ის განხორციელებაში, იგი ასევე მონაწილეობას მიიღებს სპეციალურ კომიტეტში (დ –ის განმახორციელებელი ერთეული), რომელიც შედგება სოფლის ოფიციალური პირების, სოფლების სხვა შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელების, მგფ-ს გარემოს დაცვის ანალიზის და განსახლების, მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტების და იურისტისაგან და ა.შ. მგფ-სთან შეთანხმებით, კომიტეტის ხელმძღვანელობას შეუძლია გააფართოვოს კომიტეტი სხვადასხვა სფეროების წარმომადგენელი პროფესიონალების მოწვევით, კონკრეტული პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საკომპენსაციო/სარეაბილიტაციო ზომები განხორციელდება სამშენებლო სამუშაოების წინსვლასთან ერთად, მაგრამ კონკრეტული მონაკვეთის მშენებლობის დაწყებამდე.

#### **4.1.2. მუნიციპალიტეტის სარეგისტრაციო სამსახური.**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს ქონების საკუთრების რეგისტრაციას და დაეხმარება ფონდს ზემოქმედების ქვეშ მყოფ შენობებში მცხოვრები მობინადრეებისა და მფლობელების განსახლვრაში.

## **4.2. სხვა ორგანიზაციები და სააგენტოები**

### **4.2.1. სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი**

კონტრაქტორი, რომელსაც მგფ დაიქირავეს სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის პასუხისმგებელი იქნება სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედების შემსუბუქებაზე. სამშენებლო სამუშაოებს მჭიდრო მონიტორინგს გაუწევს ფონდი, რათა უზრუნველყოს დროებით შემამსუბუქებელ ზომებთან შესაბამისობა.

### **4.2.2. საქართველოს სასამართლო**

საქართველოს სასამართლო უკანასკნელი ინსტანცია იქნება RAP –ის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების გასარკვევად. იმ შემთხვევაში, თუ ფონდი და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები ვერ შეთანხმდებიან RAP –ის განხორციელებაზე, სასამართლო მიანიჭებს ფონდს სამუშაოების განხორციელების მანდატს, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

### **4.2.3. ფინანსთა სამინისტრო**

RAP-ის განხორციელების ბიუჯეტები ფონდის მიერ იქნება წარდგენილი ფინანსთა სამინისტროსათვის, მის მიერ ოფიციალურად დამტკიცების შემდეგ.

#### 4.2.4. იუსტიციის სამინისტრო

იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებელია მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე, ხოლო იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია მიწის საკუთრების რეგისტრაციაზე და მის გადაცემაზე ფონდისათვის ნასყიდობის ხელშეკრულების მეშვეობით.

#### 4.2.5. მსოფლიო ბანკი

პროექტის პერიოდული ზედამხედველობის გარდა, მსოფლიო ბანკი განიხილავს შემოკლებულ RAP –ს და ნებართვას გასცემს კონტრაქტების მინიჭებასა და სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებაზე.

### 5. კონსულტაციები და მონაწილეობა

#### 5.1. შესავალი

კონსულტაცია და მონაწილეობა იმ პროცესს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებული მხარეები ზეგავლენას ახდენენ და აკონტროლებენ მათზე ზემოქმედების მქონე ინიციატივებს, გადაწყვეტილებებს და რესურსებს. ეს არის ორმხრივი პროცესი, რომლის ფარგლებშიც განმახორციელებელი ორგანიზაციები, მთავრობა, ბენეფიციარები და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები განიხილავენ და უზიარებენ ერთმანეთს თავის პრობლემებს პროექტის მსვლელობის განმავლობაში. კონსულტაციები და მონაწილეობა პროექტის დეტალური პროექტის დაგეგმვისა და მომზადების უმთავრესი პრინციპი იყო. მსოფლიო ბანკის OP 4.12 დიდ პრიორიტეტს ანიჭებს საზოგადოებასთან კონსულტაციებს და მონაწილეობას, რათა გაძლიერდეს თემის ხმა და უზრუნველყოფილი იქნას თემის შეხედულებების გათვალისწინება სოციალურად და გარემოს დაცვის თვალსაზრისით გამართული პროექტის პროექტირებასა და განხორციელებაში. საქართველოს კანონმდებლობა ასევე დიდ ყურადღებას უთმობს ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან კონსულტაციებს და შეტყობინებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი მონაწილეობა პროცესში.

ეს კონსულტაციები მიმართულია იმის უზრუნველყოფისაკენ, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები და სხვა დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი, და ჩახედულნი იყვნენ საქმეში და საშუალება ჰქონდეთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროექტის შემუშავებასა და სოციალური და განსახლების გეგმის მომზადებაში. ასევე უზრუნველყოფილი უნდა იქნას ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედების შემსუბუქება და მინიმუმამდე დაყვანა და პროექტის სარგებელის მოსახლეობამდე მიტანა. მოსახლეობასთან კონსულტაციები ჩატარდა SECHSA –ს მომზადების დროს 2012 წლის იანვარ-თებერვალში.

#### 5.2. SECHSA -ს კვლევის დროს ჩატარებული კონსულტაციების შედეგები

##### საზოგადოებასთან კონსულტაციები. 2012 წლის 3 თებერვალი

2012 წლის 3 თებერვალს შეხვედრა გაიმართა თელავის დემოკრატიული შეხვედრების ცენტრის შენობაში თელავის მაცხოვრებლებთან, კერძოდ, მოსახლეობის იმ ნაწილთან, რომელიც მოექცევა პროექტის ზემოქმედების ქვეშ (მათი სახლები მდებარეობს სარეაბილიტაციო რაიონში). შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა ზემოსვენებული სტრატეგიული დოკუმენტი და ზოგადად, პროექტი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროგრამის თელავის კომპონენტს.

პროექტის პრეზენტაცია ჩატარდა მუნიციპალური განვითარების ფონდის პერსონალის მიერ. ნუგზარ ხუცაიძემ მიმართა შეხვედრის დამსწრეებს სიტყვით პროექტის არსის, კახეთის რეგიონში ტურიზმის განვითარების მნიშვნელობისა და პროგრამის სპეციფიური

კომპონენტების შესახებ. მუნიციპალური განვითარების ფონდის ეკოლოგიური, კულტურულ მემკვიდრეობაზე და სოციალური ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების დოკუმენტი წარმოდგენილი იქნა მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოსდაცვითი და სოციალური ექსპერტის, ნინო პატარაშვილის მიერ.

პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა მსჯელობა. მოსახლეობის საერთო დამოკიდებულება პროექტისადმი დადებითია, თუმცა წამოჭრეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. მსჯელობის პროცესში ნათელი გახდა, რომ მოსახლეობა უფრო მეტად შეწუხებულია ისეთი სოციალური პრობლემებით, როგორცაა: განსახლება აღდგენილი შენობებიდან და კომუნალური მომსახურების ფასები. ზოგიერთმა მათგანმა გამოთქვა აღდგენითი სამუშაოების წარმოების დროს დროებით შენობებში განსახლების სურვილი. აგრეთვე, რამდენიმე შეკითხვა დაისვა წყალმომარაგებასთან, ნარჩენების განთავსებასთან და ქუჩების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, მოხდება თუ არა ინფრასტრუქტურის სრულად აღდგენა, თუ ხომ არ მოხდება ისე, რომ მოსახლეობას მოუწევს გარკვეული ხარჯის გადახდა? მაცხოვრებლებს დიდი ინტერესი ეკოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხისადმი არ გამოუხატავთ. მათ მხოლოდ ერთი კითხვა დასვეს თელავის ნაგავსაყრელთან დაკავშირებით.

შეხვედრას დაესწრო 42 მაცხოვრებელი (შეხვედრის ოქმი ხელმოწერებით თან ერთვის მოცემულ დოკუმენტს).

**შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი მთავრობის შემდეგი წარმომადგენლები:**

- ლევან გამსახურდია - კახეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილე
- ნუგზარ ხუცაიძე - თელავის საკრებულოს თავმჯდომარე
- პეტრე კიკნაძე - თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი
- ნათია კაციაშვილი - გუბერნატორის ადმინისტრაცია
- თედო ხოსროშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე.

**საქართველოს მუნიციპალურ ფონდს წარმოადგენდნენ:**

- თენგიზ ალექსიშვილი - მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, “მუნიციპალური განვითარების ფონდი”
- ნინო პატარაშვილი - გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტი, “მუნიციპალური განვითარების ფონდი”.

**არასამთავრობო ორგანიზაციები:**

- მაია ფურცხვანიძე – თელავის დემოკრატიული შეხვედრების ცენტრი
- ვალერი გრემელაშვილი – კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო
- ნათია ქარჩაიძე – საგანმანათლებლო განვითარების და დასაქმების ცენტრი

შეხვედრა გახსნეს ლევან გამსახურდიამ, კახეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილემ, ხოლო ნინო პატარაშვილმა, “მუნიციპალური განვითარების ფონდის” სპეციალისტმა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში წარმოადგინა KRDP და საპროექტო SECHSA (ეკოლოგიური, კულტურულ მემკვიდრეობასა და სოციალური ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების) ანგარიში. მსჯელობა გაიმართა პრეზენტაციის შემდეგ. დასმული შეკითხვები და პასუხები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

განხილული საკითხები			
№	შეკითხვა/შენიშვნა	სახელი, გვარი	პასუხი
1	ხომ არ არსებობს იმის საშიშროება, რომ რეაბილიტაციის შემდეგ მოსახლეობას მოუწევს საკუთარი ნების წინააღმდეგ განსახლება საკუთარი ბინებიდან ან სახლებიდან?	ნინო ოთარაშვილი	არა. არანებაყოფლობითი განსახლება გამორიცხულია და აღნიშნული საკითხს მკაცრად აკონტროლებენ “მუნიციპალური განვითარების ფონდი” და “მსოფლიო ბანკი”.
2	ხომ არ იგეგმება გადასახადების გაზრდა რეკონსტრუქციის/რეაბილიტაციის სამუშაოების დასრულების შემდეგ?	ნინო ზარიძე	მოცემული პროექტი არ გულისხმობს გადასახადების გაზრდას.
3	რა სახის შეზღუდვები არსებობს ინდივიდუალური საკუთრების ბინებისა და სახლების კაპიტალური და მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით?	თინა ირემიძე	მფლობელს საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია, გაარემონტოს ბინა ან მისი ინტერიერი, მაგრამ ფასადის შეცვლა დაუშვებელია.
4	სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული შემოღობვა, როგორცაა მტვერი, ხმაური, ვიბრაცია და უსაფრთხოების რისკები შეიძლება, მწვავე იყოს, განსაკუთრებით ინვალიდებისა და მოხუცებულებისთვის. იღებს თუ არა მთავრობა დროებითი საცხოვრებლის ზომების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობას?	ეკატერინე ახალმოსულიშვილი	ხელი მოეწერება ხელშეკრულებას (და ბევრმა თქვენგანმა უკვე მოაწერა ხელი), რომელიც საშუალებას აძლევს მცხოვრებს, მოითხოვოს და მიიღოს დროებითი საცხოვრებელი სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში.
5	სახლებისა და ფასადების რეაბილიტაციის სამუშაოები ცალკე პროექტია თუ პროექტი ასევე, ითვალისწინებს წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემისა და გზების რეაბილიტაციას?	ალექსანდრე მეტრეველი	ეს კომპლექსური პროგრამაა და მოხდება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.
6	წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია ხომ არ გამოიწვევს წყლის ტარიფის ზრდას?	ნინო ზარიძე	ტარიფის გაზრდა გათვალისწინებული არ არის.
7	ნარჩენების მართვა თელავში საჭიროებს გადაუდებელ გაუმჯობესებას. თუმცა, მისაღებია თუ არა ახალი ნაგავსაყრელის განთავსება ძველ ნაგავსაყრელთან ახლოს ან მდ. ალაზნის ჭალაში?	კლარა ალხაზიშვილი	ახალი ნაგავსაყრელის განთავსების ადგილი ჯერ დადგენილი არ არის და შეირჩევა სპეციალური კვლევების დროს. ეს საკითხი პრიორიტეტულია და შეიძლება, მიღებული იქნას პრობლემის გადაჭრის დროებითი ზომები.



**5.3. კონსულტაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან RAP-ის მომზადების პროცესში და შემოკლებული RAP-ის სამუშაო ვერსიის განხილვა ზემო ალვანში**

ინდივიდუალური კონსულტაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ოჯახებთან ჩატარდა 2012 წლის მაისში

**გახსნა**

შემოკლებული RAP-ის ელექტრონული ვერსია განთავსდება მგფ-ს ვებ-გვერდზე. RAP-ი ნათარგმნია ადგილობრივ (ქართულ) ენაზე და გაიხსნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის ადგილობრივ დონეზე. RAP-ის (ქართული ვერსიის) ასლი ხელმისაწვდომი იქნება ზემო ალვანის მუნიციპალიტეტში. RAP-ის სამუშაო ვერსია გაიხსნა საჯარო საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა ზემო ალვანში 2012 წლის 18 მაისს.

**საზოგადოებასთან კონსულტაციები, 2012 წლის 18 მაისი**

განსახლების სამოქმედო გეგმის შემოკლებულ დოკუმენტთან დაკავშირებით, მუნიციპალური განვითარების ფონდმა გამართა საზოგადოებრივი კონსულტაციები კახეთის გუბერნატორის ოფისში 2012 წლის 18 მაისს. შეხვედრას ესწრებოდა სოფ. დართლოს მოსახლეობა, მუნიციპალური განვითარების ფონდის, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს და ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა პროგრამის დართლოს კომპონენტზე.



საზოგადოებასთან გამართული კონსულტაციების მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის მიწოდება პროექტში ჩართული მხარეებისთვის, ისევე როგორც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესებისთვის და შენობების მფლობელებისთვის და მომხმარებლებისთვის, განსახლების სამოქმედო გეგმის შემოკლებული დოკუმენტის მომზადების პროცესში. აღნიშნული მიზნად ისახავს ინფორმაციის მიწოდებას სავარაუდო ზემოქმედების და ზემოქმედების არეალში მოქცეული პირების, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საკომპენსაციო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების (საკომპენსაციო პოლიტიკა) შესახებ. საკომპენსაციო პოლიტიკა განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლის საფუძველზე ხდება გადაწყვეტილების მიღება, თუ ვინ არის დაზარალებული მხარე, ან პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანი, ვინ არის უფლებამოსილი კომპენსაციის მიღებაზე და რა სახის კომპენსაციები გაიცემა, ასევე დაგების მოგვარების მექანიზმები, საჩივრების და შენიშვნების წარმოდგენის ფორმა.

ინფორმაციის მიწოდება განხორციელდა როგორც ვერბალურად, ასევე მოკლე საინფორმაციო ბროშურების სახით, რომელიც აღწერს პროექტის განსახლების პოლიტიკას, საკომპენსაციო და სარეაბილიტაციო უფლებამოსილებებს, ზემოთ აღნიშნული თანხების განსაზღვრის პრინციპებს, დაგების მოგვარების მექანიზმს, მიმართვის ფორმას და საკონტაქტო ინფორმაციას.

**განსახლების სამოქმედო გეგმის შემოკლებულ დოკუმენტთან დაკავშირებული პრეზენტაცია** ჩატარა მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამშრომელმა - ნინო პატარაშვილმა.

პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსიები. მოსახლეობის განწყობა ზოგადად პროექტის მიმართ იყო დადებითი, თუმცა წამოწეულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

შეხვედრას ესწრებოდა 36 მოსახლე (შეხვედრის ოქმი შესაბამისი ხელმოწერებით წარმოდგენილია დოკუმენტის დანართის სახით).

**შეხვედრებს ესწრებოდნენ:**

**ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან:**

ტელმან იჭარული – დუშეთის ტერიტორიული ხელისუფლების წარმომადგენელი  
გივი ბარხოიძე – დუშეთის ტერიტორიული ერთეულის სპეციალისტი  
გელა ბახტურიძე – დუშეთის დაცული ტერიტორიის დირექტორი

**კულტურული მემკვიდრობის ეროვნული სააგენტო**

დავით ტყეშელაშვილი - კულტურული მემკვიდრობის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტი

**მუნიციპალური განვითარების ფონდის მხრიდან:**

ნინო პატარაშვილი – გარემოსდაცვის ანალიზის და განსახლების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მუნიციპალური განვითარების ფონდი.

**არასამთავრობო ორგანიზაციები:**

გელა შორთიშვილი – ზემო ალვანის წყალი.

განხილული საკითხები			
No	საკითხი/კომენტარი	სახელი	პასუხი
1	ითვალისწინებს თუ არა პროექტი მთლიანად დანგრეული სახლების აღდგენას, ან მშენებარე სახლების დასრულებას?		პროექტით მთლიანად დანგრეული სახლების აღდგენა ან მშენებარე სახლების დასრულება გათვალისწინებული არ არის.
2	ჩემს სახლს აქვს თუნუქის გადახურვა, მოხდება თუ არა აღნიშნული გადახურვის დემონტაჟი?		პროექტის განხორციელება ძირითადად მიზნად ისახავს დართლოს პირველადი სახის აღდგენას, შესაბამისად განხორციელდება სოფლისთვის არატრადიციული ყველა სახურავის მოხსნა და შენობების გადახურვა ფიქალით
3	შეგვიძლია თუ არა ზემოქმედების მოხდენა საპროექტო გადაწყვეტილებებზე?		მფლობელს შეუძლია განაახლოს მისი ბინა, ან შიდა სივრცე საკუთარი სურვილსამებრ, მაგრამ ფასადის შეცვლა, ან ხელის ხელისხლება არ შეუძლია.
4	შენობა დაზიანდა და ერთი კედელი ამოვაშენე ბლოკით; მოხდება თუ არა ჩემი კედლის დემონტაჟი?		აღნიშნული კედლის დემონტაჟი არ განხორციელდება. აღნიშნული ბლოკის კედელი შეიღესება ფიქალით, რაც დამახასიათებელია დართლოსთვის.
5	სახლების და ფასადების რეაბილიტაცია ცალკე პროექტია, თუ აღნიშნული პროექტი წყალმომარაგების და კანალიზაციის რეაბილიტაციასაც ითვალისწინებს?		დართლოს კლიმატური პირობების გამო, სამშენებლო საქმიანობა არ შეიძლება გაგრძელდეს წელიწადში 4 თვეზე მეტი ხანს, შესაბამისად გადაწყდა, რომ წელს განხორციელდეს შენობების მხოლოდ სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები
6	მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ აქვს დარეგისტრირებული შენობები; მივიღებთ თუ არა კომპენსაციას დროებითი ადგილმონაცვლეობისთვის?		ყველა მაცხოვრებლები, რომელთა შენობებში ჩატარდება სამშენებლო საქმიანობა და რაც დროებით ადგილმონაცვლეობასთან არის დაკავშირებული, მიიღებენ შესაბამის კომპენსაციას.



## 6 საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი

### 6.1. მიზნები

აეწეოს საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი, რომელიც პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ პირებს საშუალებას მისცემს გაასაჩივრონ ნებისმიერი მიუღებელი გადაწყვეტილება, პრაქტიკა ან საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მიწის ან სხვა აქტივების კომპენსაციასთან. პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირები სრულად იქნებიან ინფორმირებულნი თავიანთი უფლებების, გასაჩივრების პროცედურების (წერილობით ან ზეპირსიტყვიერად) და კომპენსაციის ვადების შესახებ. ყურადღება უპირველეს ყოვლისა და ყოველთვის მიეპყრობა საჩივრების პროფილაქტიკას, უფრო ვიდრე მათი დაკმაყოფილების პროცესის აღძრვას. ეს კი შესაძლებელია მიწის შესყიდვისა და განსახლების სწორად დაგეგმვისა და განხორციელების მეშვეობით და იმის უზრუნველყოფით, რომ პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირების აზრი გათვალისწინებული იქნას და არსებობდეს ფართო კომუნიკაცია და კოორდინაცია პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ თემებს, ფონდსა და ადგილობრივ მმართველობას შორის.

### 6.2. საჩივრების განხილვის პროცესი

- პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ პირებს, რომლებიც უკმაყოფილოები არიან კომპენსაციით, ან განსახლებასთან დაკავშირებული სხვა დახმარებით, აღნიშნული პროცესის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლიათ უკმაყოფილება გამოხატონ უშუალოდ ფონდის გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების განყოფილების უფროსთან ბ-ნ ალექსანდრე დუმბაძესთან (ტელ: 5 99 32 74 36), გამგებლის მოადგილესთან – ბ-ნ თედო ხოსროშვილთან, (ადგილობრივი ტელ: 0 350 27 75 75). ობიექტზე უზრუნველყოფილი იქნება ელექტრონული ფოსტის მისამართი, საფოსტო მისამართი და SMS სერვისი საჩივრების დაკმაყოფილებისათვის (მაქსიმუმ სამი დღის განმავლობაში).
- იმ შემთხვევაში, თუ გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების სპეციალისტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებს პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ პირს, მაშინ მისი საქმის მოსასმენად შესაძლოა მოწვეულ იქნას საჩივრების კომიტეტი (მდივანი ბაკა ალავიძე – 599 638998). ამ კომიტეტის დასკვნები უნდა მომზადდეს საჩივრის შემოტანიდან შვიდი დღის განმავლობაში.
- ნებისმიერ შემთხვევაში, საჩივრის დაკმაყოფილების ხელშეწყობის მიზნით შესაძლოა განხორციელდეს შესაძენი აქტივების ღირებულების დამოუკიდებელი შეფასება.
- ნებისმიერ შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს საჩივრის დაკმაყოფილების მიზნით.
- პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირები ინფორმირებულები უნდა იყვნენ საჩივრის დაკმაყოფილების მექანიზმის და საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებების შესახებ, მაშინვე როდესაც გამოაშკარავდება მათზე ზემოქმედების შესაძლებლობა.
- თუ II კატეგორიის შენობის მობინადრე პროექტის დაწყებამდე აცხადებდა, რომ მას არ ესაჭიროება დროებითი ადგილმონაცვლეობა, მაგრამ შემდგომ აზრი შეიცვალა და მოითხოვს დროებით ადგილმონაცვლეობას, მან წერილობით სახით უნდა მიმართოს საჩივრების კომიტეტს (საჩივრის ფორმა და შესაბამისი კომიტეტის საკონტაქტო ინფორმაცია მოსახლეობაში გავრცელდება პროექტის დაწყებამდე, ინფორმაცია აგრეთვე ხელმისაწვდომი იქნება გამგეობის შენობაში განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე და სამშენებლო ობიექტებზე).
- კომიტეტმა საჩივარი სამი დღის განმავლობაში უნდა განიხილოს და შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში დააკმაყოფილოს.
- თუკი რეაბილიტაციის პროცესის განმავლობაში შენობაში ცხოვრება შეუძლებელია გაუთვალისწინებელი ინციდენტის გამო (კედლის გაბზარვა ან ჩამოშლა) ან ამგვარის რისკის გამო, კომიტეტმა მყისიერად უნდა უზრუნველყოს

### 6.3. საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის ფორმირება

საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი ფორმირდება თელავის მუნიციპალიტეტის დონეზე, მასში გაერთიანდებიან:

- (ი) ფონდის წარმომადგენლები : ალექსანდრე დუმბაძე (ფონდის გარემოს დაცვის ანალიზისა და განსახლების განყოფილების უფროსი );  
ბააკა ალაგიძე – ფონდის მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;  
ანზორ ანდუღაძე – ფონდის პროექტების ანალიზის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
- ირაკლი ჯავახია – ფონდის იურისტი
- (იი) დუშეთის წარმომადგენელი : ტელმან იჭარული – დუშეთის ტერიტორიული ხელისუფლების წარმომადგენელი
- (იიი) ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების წარმომადგენელი : ნაგურაიძე ლენა - №1 სახლის მფლობელი
- (ივ) ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესის წარმომადგენელი : დესო ელირუძე – სასტუმროს მფლობელი
- (ვ) ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი : გელა შორტიშვილი

### 7. განხორციელების გრაფიკი

მაქსიმუმ 44 ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახის დროებითი ადგილმონაცვლეობა უნდა განხორციელდეს რამდენიმე დღის განმავლობაში.

დროებითი ადგილმონაცვლეობის კომპენსაცია უნდა გაიცეს ივლისის თვეში.

კომპენსაცია ბიზნესების მოსალოდნელი ნაწილობრივი დანაკარგებისთვის უნდა გაიცეს ივლისის თვეში.

**8. ხარჯები და დაფინანსება**

**8.1. კომპენსაცია ადგილმონაცვლეობისათვის**

ტრანსპორტირების კომპენსაცია ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახისათვის = 44 x 400 ლარზე = **17,600 ლარს**

შესაბამისად, დროებითი ადგილმონაცვლეობისათვის ასანაზღაურებელი თანხა გამოთვლილი იქნა 44 ოჯახისათვის, რომლებიც ბინადრობენ II და III კატეგორიის ყველა შენობაში. პროექტის განხორციელების პროცესში შემოსვენებული თანხა შესაძლოა შემცირდეს II კატეგორიის შენობებისათვის სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების სირთულიდან და/ან მობინადრეების სურვილიდან გამომდინარე.

დროებითი ადგილმონაცვლეობის თანხა (ტრანსპორტირების გარეშე) 44 ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახისათვის შეადგენს **35,200 ლარს** (იხ. დანართი). დროებითი ადგილმონაცვლეობის სრული კომპენსაცია გაიცემა ერთჯერადი კომპენსაციის სახით.

**8.2. კომპენსაცია ბიზნეს საქმიანობის შეწყვეტისათვის**

კომპენსაცია მოსალოდნელი ზარალისათვის ბიზნეს საქმიანობის ვარდნის გამო 8 ბიზნესისათვის შეადგენს **46,800.00 ლარს**.

იმ შემთხვევაში, თუ შეფერხების პერიოდი გათვალისწინებულზე უფრო დიდხანს გაგრძელდება, ხელმისაწვდომი იქნება გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი, რითაც დაიფარება საკომპენსაციო ხარჯები. გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი დამატებითი სამთვლიანი პერიოდისათვის იქნება განსაზღვრული.

**8.3. დახმარება მოწყვლადი (დაუცველი) მოსახლეობისათვის**

2 განეკუთვნება მოწყვლადი მოსახლეობის ჯგუფს და მათ უფლება აქვთ მიიღონ დამატებითი ერთჯერადი დახმარება ხუთსულიანი ოჯახის მინიმალური ყოველთვიური საარსებო შემოსავლის ეკვივალენტი ოდენობით (313 ლარი).

**8.4. მიწის შესყიდვისა და განსახლების ღირებულება და ფინანსური სახსრების მოძრაობა**

პუნქტების ჩამონათვალი	ხარჯები	დამატებითი წყაროები (გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი) შემდგომ სამ თვეზე
სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაცია	17,600.00 ლარი	არა
ბიზნესის დანაკარგის კომპენსაცია	46,800.00 ლარი	არა
ქირის კომპენსაცია II კატეგორიის ოჯახებისთვის	800.00 ლარი	არა
ქირის კომპენსაცია III კატეგორიის ოჯახებისთვის	34,400.00 ლარი	არა

დახმარება მოსახლეობისთვის	მოწვევლადი	626.00 ლარი	არა
სულ ჯამი		100,226.00 ლარი	

როგორც ამ RAP-ში არის მითითებული, მთავრობა თანახმაა უზრუნველყოს ერთჯერადი კომპენსაცია ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახებისა და ბიზნესებისათვის და დახმარება მოწვევლადი მოსახლეობისათვის.

## 9. მონიტორინგი და ანგარიშგება

### 9.1 შესავალი

განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) განხორციელების ძირითად მიზანს წარმოადგენს პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირების სოციალური და საარსებო წყაროს რესურსების გაუმჯობესება, ან მინიმუმ აღდგენა, წინა-საპროექტო დონემდე. განხორციელების პროცესმა საჭიროა უზრუნველყოს აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაბამისი პერიოდის და გამოყოფილი რესურსების ფარგლებში. შესაბამისად, განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის და პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული პირებისთვის ინსტიტუციონალური და ფინანსური დახმარების გაწევის მონიტორინგი, წარმოადგენს პროექტის ფუნქციონირებისა და მენეჯმენტის განუყოფელ ნაწილს.

### 9.2 მონიტორინგის და შეფასების ინდიკატორები

განხორციელების პროცესში მონიტორინგს დაექვემდებარება RAP –ის პოლიტიკისა და მიზნების შესატყვისობა შემუშავებულ ინდიკატორებთან. ეს ინდიკატორები და კრიტერიუმები განისაზღვრება განხორციელების პროცესის, შედეგებისა და ზემოქმედებისათვის.

ძირითადი ინდიკატორები:

შედეგობრივი ინდიკატორები:

ა) II და III კატეგორიის შენობებში მობინადრე 44 ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახისათვის უზრუნველყოფილია კომპენსაცია ქირის და ტრანსპორტირების ხარჯებისათვის;

ბ) ორ სასტუმროს მფლობელებს აუნაზღაურდებათ ბიზნეს საქმიანობის მოსალოდნელი ვარდნის ხარჯი;

გ) აღდგენა ყველა საერთო სარგებლობის კომუნალური და ინფრასტრუქტურული ერთეული, რომელიც დაზიანდა პროექტის განხორციელების პერიოდში;

შემაჯამებელი ინდიკატორები:

ა) ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახების პროცენტულობა, რომლებიც კმაყოფილნი არიან საცხოვრებლისა და საარსებო საშუალებების პირობებით დროებითი ადგილმონაცვლეობის პერიოდის განმავლობაში;

- ბ) ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახების პროცენტულობა, რომლებიც კმაყოფილი არიან საცხოვრებლისა და საარსებო საშუალებების პირობებით რეაბილიტირებულ შენობებში დაბრუნების შემდეგ;
- გ) ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესების პროცენტულობა, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი (შეფერხების პერიოდში გაცემული კომპენსაციის ჩათვლით) არ შემცირებულა პროექტის დაწყების შემდგომ (მონიტორინგი უნდა განხორციელდეს შეფერხების პერიოდის განმავლობაში და საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდეგ).

### 9.3 მონიტორინგის დონე

შიდა მონიტორინგს ახორციელებს ფონდი მშენებლობის საზედამხედველო კომპანიის მონაწილეობით.

გარე მონიტორინგი: მსოფლიო ბანკს შეუძლია აწარმოოს გარე მონიტორინგი სათანადო კონსულტანტის



დანართი: ზემო ალვანში გამართული შეხვედრის მონაწილეთა სია

შეხვედრის შედეგების დასახელება სია

სოფ. ზემო ალვანი

18.05.2012წ.

#	სახელი და გვარი	ორგანიზაცია ფიზიკური პირი	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	შაფერაძე გელა	მუშაობს ვასოვს ენბ- შეკრულ დახმარებაში	595544111 577954533	შაფერაძე
2.	ჭყეშანიძე ირაკლი	ფიზიკური პირი	5779530-82	ჭყეშანიძე
3.	გულა შოთაძე	ღმ. უმუშევარი	599212193	გ. შ.
4.	თოქია იმედი	შპს. თემატიკური პროექტი	599426798	თოქია
5.	გივი ბარბაქაძე	მ. ავთანუხიანი	599-78-52-93	გივი ბარბაქაძე
6.	დავით ურბანიძე	მ. ავთანუხიანი	574-89-6948	დავით ურბანიძე
7.	თეიმურაზი ბერიძე	მ. ავთანუხიანი	599215366	თეიმურაზი ბერიძე

8.				
9.	၂၅ မတ် ၆၀	အောင်မောင်		အောင်မောင်
10.	၁၅ မတ် ၆၀	အောင်မောင်	555 4888 30	အောင်မောင်
11.	၁၅ မတ် ၆၀	အောင်မောင်		အောင်မောင်
12.	၁၅ မတ် ၆၀	အောင်မောင်		အောင်မောင်
13.	၁၅ မတ် ၆၀	အောင်မောင်	56890 67 29	အောင်မောင်
14.	၁၅ မတ် ၆၀	အောင်မောင်	82-1-88-31-28	အောင်မောင်
15.	၁၅ မတ် ၆၀	အောင်မောင်	593-49-73-73	အောင်မောင်
16.	၁၅ မတ် ၆၀	အောင်မောင်	533 40 20 91	အောင်မောင်
17.	၁၅ မတ် ၆၀	အောင်မောင်	598-00-61-44	အောင်မောင်
18.	၁၅ မတ် ၆၀	အောင်မောင်	598 615 61 8	အောင်မောင်
	၁၅ မတ် ၆၀	အောင်မောင်	555 265 285	အောင်မောင်

19.	հանրային օրհանգրվան	Երևանի քաղաքացիական	555.35.10.18	
20.	մանր զինվոր	Երևանի քաղաքացիական	555-54-24-93	
21.	Հ. Բաղդասարյան			
22.	Կ. Բաղդասարյան			
23.	Բ. Բաղդասարյան			
24.	Կ. Բաղդասարյան	Երևանի քաղաքացիական	596246405	
25.	Վ. Բաղդասարյան			
26.	Ս. Բաղդասարյան	Երևանի քաղաքացիական	560400002	Վ. Բաղդասարյան
27.	Գ. Բաղդասարյան	Երևանի քաղաքացիական		
28.	Մանր զինվոր	Երևանի քաղաքացիական		
29.	Մանր զինվոր	Երևանի քաղաքացիական		Բ. Բաղդասարյան
	Բ. Բաղդասարյան			

30.	Յոսեփ Կոչին		
31.	Զ. Արտիստ	Թ. Թեյմուրյան	
32.	Բ. Բարսեղյան	Բ. Բարսեղյան	
33.	Զ. Գրիգորյան	Բ. Բարսեղյան	
34.	Լ. Գրիգորյան	Բ. Բարսեղյան	
35.	Զ. Բարսեղյան	Բ. Բարսեղյան	
36.	Ս. Գրիգորյան	Բ. Բարսեղյան	
37.	Գ. Կոչին (Գ. Գրիգորյան)	Բ. Բարսեղյան	
38.	Զ. Գրիգորյան	Բ. Բարսեղյան	
39.			
40.			